გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს!

საქართველოს რესპუბლიკა

ოთხშაბათი, 26 მაისი, 2004 წელი. №119 (4848) * გაზეთი დაარსებულია 1918 წელს, აღდგენილია 1990 წელს. * ფასი 50 თეთრი

26 მაისი — მერაბ კოსტავას დაბადების დღე

სულო, დაიცა...

საით მიილტვი, სულო, დაიცა
სულო მბორგავო, შესდექ!
ცხრა კართაგენი თუნდაც დაეცეს,
უნდა ელოდე შემდეგს.

სულო გასდიე სალი კლდის არწივს,
ლაჟვარდში შვება იცან,
ვარსკვლავთა წალკოტს
ოცნებით ასწვდი
და ეამბორე მიწას.

აუწყვეტია კლდეთით ჰრომეთეს,
დამცხრალა მთებში ზვავი,
ადევნებიხარ ცაში კომეტებს,
ზევსთან შეკრული ზავით.

სჭვრეტ მეუფებას ოქროს ტახტიანს,
მნათობთა ბადეს გაშლილს,
განგებას შენთვის დაურახტია
ცეცხლის მფრქვეველი რაში.

ჰა, გარიჟრაჟმა ცეცხლი დაგინთო,
აღდგომა კვირის დამდეგს,
ხამს სინანულის ზღვაში ჩაყვინთო,
მოკვდი და მკვდრეთით აღდექ!

რა უკვდავების ქნარით გვიგალობ,
ეს რა სამკვიდრო გერგო,
ბოროტებათა შეურიგალი
მარადისობის ნერგო.

სად მიისწრაფი სულო, დაიცა,
სულო მბორგავო შესდექ,
წმინდა ლაჟვარდიც
უნდა გაიცრას,
რომ მიემთხვიოს ედემს.

მერაბ კოსტავა.



მერაბ კოსტავა.
(მოქანდაკე მერაბ მეტრეველი).

რაინდული სულის ყივილი...

დღეს მერაბ კოსტავას დაბადების დღეა... იგი 65 წლისა გახდებოდა... ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის გულანთებული მებრძოლი, მამულის დიდი ჭირისუფალი...

მერაბი ამქვეყნად, უპირველესად, მუსიკითა და პოეზიით გაცისკროვნებული დადიოდა და მერე იყო თავდადებული პოლიტიკური მოღვაწე. ლექსების კრებული, რომელიც 1990 წელს გამოვიდა და, რომლის შემდგენელ-რედაქტორი მისი უპირველესი მეგობარი და თანამოაზრე ზვიად გამსახურდია იყო, სავსეა შესანიშნავი პოეტური სტრიქონებით, სამშობლოს უკეთესი მომავლის იმედით, რუსეთის შორეული უმკაცრესი საპატიმროების ყოველდღიური სურათებით, უნაზესი ლირიკით, რაინდული სულის ყივილით...

ბედნიერად ვრაცხ თავს, რომ მეც მიგრძვნია ამ ორი დიდი პიროვნების — ზვიადისა და მერაბის გულის სითბო. ყოველ შეხვედრაზე ზვიადი: **„ვილჰელმ,** როგორა ხარ!" — ყოველ შეხვედრაზე მერაბი: „ჩვენ, ხო იცი ბიჭო, მაღლაკელები ვართ, ქვის ხალხი, ქვასავით მაგრები!" (მერაბის წინაპარი ჩემი მშობლიური სოფლიდან — მაღლაკიდან იყო).

წელს ორივე 65 წლისა გახდებოდა... ზვიადი და მერაბი — უკვდავებაში გადასულნი, 26 მაისის ზეიმის უპირველესი მასპინძლები!

ვილენ მარდალეიშვილი.

მის მაღალ აღმატებულებას
ბატონ მიხეილ სააკაშვილს
საქართველოს პრეზიდენტს

ღრმად პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო,

უკრაინის ხალხისა და პირადად ჩემი სახელით გილოცავთ საქართველოს ეროვნულ დღესასწაულს — სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს.

საქართველოს ისტორიაში იმ უმნიშვნელოვანესი დღიდან თქვენი ქვეყანა წარმატებით ადგას სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების რთულ გზას, უჩვენებს მსოფლიოს დემოკრატიული ღირებულებებისადმი ერთგულებას.

სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ ჩვენმა სახელმწიფოებმა შექმნეს საიმედო საფუძველი განსაკუთრებული პარტნიორობის შემდგომი გაღრმავების, ყოველმხრივი და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განვითარებისათვის.

დარწმუნებული ვარ, რომ უკრაინისა და საქართველოს ტრადიციული მეგობრული ურთიერთობა კვლავაც განვითარდება დახმარების, ნდობისა და მხარდაჭერის სულისკვეთებით.

გულწრფელად გისურვებთ თქვენ, ღრმად პატივცემულო ბატონო პრეზიდენტო, ჯანმრთელობას, წარმატებებს თქვენს საპასუხისმგებლო მოღვაწეობაში, მოძმე ქართველ ხალხს კი — მშვიდობას, ბედნიერებასა და აყვავებას.

ღრმა პატივისცემით,
ლეონიდ კუჩმა.
კიევი, 2004 წლის 25 მაისი.

კანონმდებლები

ასეთი რა გაგვიჭირდა?

მოგეხსენებათ, ჰერალდიკას თავისი კანონები და სპეციფიკური მხატვრობა ახასიათებს. გერბი ფერწერული ტილო არ არის. შესაბამისად, ყურადღება მასში ჩაფიქრებულ სიმბოლიკას ექცევა, გერბის სიმბოლიკის დანიშნულება კი სახელმწიფოს წარსულისა და მემკვიდრეობის ასახვაა. ამ ამოცანას, სახელმწიფო ატრიბუტიკის პრობლემათა შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის (თავმჯდომარე — ელდარ შენგელაია) აზრით, სხვაზე უკეთესად თავი ჰერალდიკოსმა მამუკა გონგაძემ გაართვა. ჟიურიმ გამარჯვებული გერბის ავტორად სწორედ ის სცნო.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ახალი ჰიმნი, რომელიც საზოგადოების დიდ ნაწილს არ მოეწონა, პარლამენტმა თითქმის ერთსულოვნად დაამტკიცა (თუმცა დეპუტატებს შორის აზრთა სხვადასხვაობა იყო), საკანონმდებლო ორგანოში დიდი წინააღმდეგობა არც ახალ გერბს უნდა შეხვედროდა, მაგრამ გუშინწინ ბიუროს სხდომაზე, გუშინ კი პარლამენტის რიგგარეშე პლენარულ სხდომაზე დეპუტატთა უმრავლესობამ გერბის პროექტის მიღება დაუშვებლად მიიჩნია.

უნდა აღინიშნოს, რომ გერბის პროექტის 25 მაისის პლენარულ სხდომაზე გატანას პარლამენტის განათლებისა და კულტურის კომიტეტმა 10 ხმით 2-ის წინააღმდეგ, მხარი დაუჭირა. კომიტეტის თავმჯდომარის ლევან ბერძენიშვილის აზრით, პოლიტიკოსები არ უნდა ჩაერიონ მხატვრობაში და არ უნდა მიუთითონ, როგორ გამოსახოს ჰერალდიკოსმა ესა თუ ის ფიგურა.

იხ. მე-2 გვ.

გიხაროდეს!

ჯვრისწერას ვაჟიანობაც მოჰყვა

ეს იყო ერთი წლის წინათ. მე და მზევინარმა ჯვარი სიონის ტაძარში დავიწერეთ. „კონკასთან" ქორწინების სახლში კი ხელიც მოვაწერეთ. საქორწინო სუფრაც გაიშალა...

ქართული ტრადიციისამებრ ნათესავ-მეგობრებმა ჩემი ახალშექმნილი ოჯახი დალოცეს. ამ დღეებში პირველი შვილი შეგვეძინა. ბიჭს ბაბუის სახელი პაპუნა დავარქვით, გვითხრა რედაქციაში მოსულმა, ჩვენი გაზეთის მკითხველმა ოთარ ბაკურიამ. მან ერთი ნატვრაც გაგვანდო — უფალი პაპუნას და-ძმებს უმრავლებს და მინდა მათ ბედნიერებას მოვესწროო.

ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

დღეს ნომერშია:

დამოუკიდებლობის სიხარული და მოღალატე ქართველი გვ-4.

ფული ხელის ჭუჭყი როდია გვ-5.

„ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე" გვ-6.

ოტია იოსელიანი იაპონელი გამომცემლების და საქართველოს პირველი ლედის შესახებ გვ-8.

დროშები ჩქარა!

პატრიარქმა აკურთხა

გუშინ სიონის საკათედრო ტაძარში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საქართველოს სამხედრო დროშები აკურთხა.

კურთხევის ცერემონიას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, თავდაცვის მინისტრი გელა ბეჟუაშვილი, საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი.

როგორც თავდაცვის მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ნაკურთხი იქნა საქართველოს სახმელეთო ჯარების, საჰაერო ძალების, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, გვარდიის და სეფე დროშები.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ის დარწმუნებულია, რომ აღნიშნული დროშების ქვეშ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მოხერხდება. თუმცა, მისი თქმით, ამისთვის გარკვეული დრო და ძალისხმევა იქნება საჭირო.

ინტერ-პრესი.

ინფორმაცია

რწმუნებათა სიგელი - პრეზიდენტს

გუშინ აზერბაიჯანის ახალმა საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში რამიზ ჰასანოვმა საქართველოს პრეზიდენტს რწმუნებათა სიგელი გადასცა.

შეხვედრაზე ელჩმა კიდევ ერთხელ დაადასტურა აზერბაიჯანის ხელისუფლების სრული მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისადმი და იმედი გამოთქვა, რომ საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის არსებული კეთილმეზობლური ურთიერთობები მომავალშიც გაგრძელდება.

ბათუმობა - დამოუკიდებლობის დღეს

ბათუმში დღეს ბათუმობას და საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს ოთხი კონცერტით აღნიშნავენ.

როგორც ღონისძიებების ორგანიზატორმა, ფონდ „არტ ბრიჯის" მენეჯერმა ვანიკო თარხნიშვილმა განაცხადა, ბათუმში ოთხი მასშტაბური კონცერტის მოწყობა იგეგმება — უნივერსიტეტის წინ, ბულვარზე, კოლონებთან და სტადიონზე. კონცერტები ჟანრობრივად განსხვავებული იქნება — მსმენელს ჯაზს, ალტერნატიულ მუსიკას, ფოლკლორს, როკს, რეპს, პოპს და პანტომიმასაც წარუდგენენ.

კონცერტებში მონაწილეობას მიიღებენ როგორც თბილისიდან ჩასული, ასევე ადგილობრივი შემსრულებლები.

ხატს პრეზიდენტს და პატრიარქს გადასცემენ

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დღეს ქვეყნის პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს და კათალიკოს-პატრიარქს ილია მეორეს ჟენევიდან ჩამოტანილ ოქონის ღვთისმშობლის ხატს გადასცემენ.

ხატის გადაცემის შემდეგ თავად პრეზიდენტი და პატრიარქი გადაწყვეტენ, სად დაბრძანდება საქართველოში დაბრუნებული სიწმინდე.

3 წლის წინათ ჟენევაში „კრისტის" აუქციონზე პირთა ჯგუფმა სპილოს ძვლის სამკარედიანი ხატი გაიტანა. შვეიცარიელ ექსპერტთა კვლევის შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული ხატი ოქონის ტრიპტიქონს წარმოადგენდა, რომელიც 1924 წლამდე ზნაურის რაიონის სოფელ ოქონის ქართულ ეკლესიაში ესვენა. შემდეგ კი იგი ცხინვალის სახელმწიფო მუზეუმში იქნა გადატანილი.

90-იან წლებში ეს საგანძური შვეიცარიაში უკანონოდ იქნა გატანილი, რის გამოც სისხლის სამართლის საქმე იყო აღძრული. გატარებული ღონისძიებების შედეგად პროცესი წარმატებით დასრულდა და მიმდინარე წლის 19 მაისს ჟენევის კანტონის იუსტიციის სასახლეში ხატის გადმოცემის ოფიციალური ცერემონიალი გაიმართა.

დღესვე საქართველოს პრეზიდენტი და კათალიკოს-პატრიარქი ბათუმს ეწვევიან და ქვეყნის დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო აღლუმს დაესწრებიან.

30-30 ლარი - ხელმოკლე სტუდენტებს

სტუდენტური ორგანიზაციის „ახალი ძალა — შემოქმედებითი სალონის" წარმომადგენლებმა სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის წარჩინებულ და ხელმოკლე 30 სტუდენტს გუშინ ერთჯერადი დახმარების სახით 30-ლარიანი სტიპენდიები გადასცეს.

სტუდენტების დახმარების მოტივით „შემოქმედებითმა სალონმა" 23 მაისს, ცნობილი მეცენატის ბადრი პატარკაციშვილის საქველმოქმედო ფონდის მხარდაჭერით, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის ეზოში საქველმოქმედო აქცია გამართა.

აქციაზე „შემოქმედებითი სალონის" წარმომადგენლებმა ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის, გამომცემლობა „მერანის" წიგნები, ცნობილი ადამიანების ფოტოები, სამხატვრო აკადემიის სტუდენტთა ნამუშევრები, თოჯინები, ყვავილები და სხვადასხვა სახის სუვენირები გამოფინეს.

აქციის ფარგლებში სპეციალური აუქციონიც გაიმართა, სადაც გამოჩენილი ადამიანების ნივთები იყო წარმოდგენილი, მათ შორის ნონა გაფრინდაშვილის მიერ მოლდოვაში მოპოვებული ჯილდო, ლაშა ბულაძის წიგნი და კალამი, ვახუშტი კოტეტიშვილის ნამუშევარი და სხვა ცნობილი პიროვნებების ნივთები.

ქველმოქმედებიდან შემოსული თანხა დღეს სტუდენტებს მწერალმა ლაშა ბულაძემ, ჩეჩნური დიასპორის ხელმძღვანელმა ხიზრი ალდამოვმა და საქველმოქმედო ფონდის წარმომადგენელმა ბიძინა ნიჟარაძემ გადასცეს.

სწავლა 28 მაისს შეწყდება

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო პროცესი 28 მაისს შეწყდება, 2 ივნისიდან კი მე-11 კლასელების სახელმწიფო გამოცდები დაიწყება.

პირველი წერითი გამოცდა 2 ივნისს ქართულ ენაში ჩატარდება, 8 ივნისს კი წერითი გამოცდა მათემატიკაში, შემდეგ — ისტორიაში, მეოთხე საგანი კი არჩევითი იქნება და გამოცდა ზეპირი სახით ჩატარდება.

ზეპირი გამოცდების თარიღს თავად სკოლები ნიშნავენ.

ინფორმაციები მოგვაწოდა ინტერ-პრესმა.

ჟურნალისტი მივლინებიდან დაბრუნდა

4. აჭარას შეუძლია სერიოზული ექსპორტიორი გახდეს

მიკროსაფინანსო მომსახურებისა და მცირე ბიზნესის განვითარების პრობლემებზე ბათუმში 22- 23 მაისს ეკონომიკის სამინისტროს მიერ გამართულ სემინარში საერთაშორისო და ადგილობრივ საფინანსო ორგანიზაციებთან ერთად მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. იმთავითვე უნდა ითქვას, რომ ეს სემინარი უმთავრესად საინფორმაციო და გაცნობით ხასიათს ატარებდა, რადგან, როგორც ცნობილია, აჭარა წლების განმავლობაში მოწყვეტილი იყო ქვეყნის ერთიანი ეკონომიკური სივრცისგან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობა აქ მთლიანად შეზღუდული გახლდათ. ფაქტობრივად, აქ რამდენიმე ქართული ბანკის გარდა, საკრედიტო საქმიანობას არავინ ეწეოდა. ამ მიმართებით აჭარა, ასე ვთქვათ, „ყამირია", რომელიც რეალურ დახმარებას ელოდება.

აჭარა, როგორც სემინარზე ითქვა, ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით მაგალითი უნდა გახდეს იმ რეგიონებისთვის, რომლის მოსახლეობაც მოწყვეტილია დედასამშობლოს მაჯისცემას. მათ უნდა დაინახონ, რომ ერთიან საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში მათი ეკონომიკური კეთილდღეობა გარანტირებულია, რომ სეპარატიზმს ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვის კარგი არაფერი მოაქვს. აჭარას ამ მხრივ ქვეყნისათვის დიდი საქმის გაკეთება შეუძლია.

იხ. მე-2 გვ.

— ვარ მარტოხელა დედა. მყავს მცირეწლოვანი შვილი. დაწესებულებაში, სადაც მე ვმუშაობ, მიმდინარეობს შემცირება.

გთხოვთ, განმიმარტოთ, შემცირებისას მეკუთვნის თუ არა რაიმე უპირატესობა?

შორენა კოშკაძე.

— საქართველოს შრომის კანონთა კოდექსის 36-ე მუხლის I პუნქტის შესაბამისად, მუშაკთა რიცხვის ან შტატების შემცირებისას სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლება ენიჭებათ იმ მუშაკებს, რომლებიც მაღალი კვალიფიკაციითა და შრომის ნაყოფიერებით გამოირჩევიან.

თანაბარი პირობების არსებობის შემთხვევაში ზოგიერთ სხვა კატეგორიასთან ერთად სამუშაოზე დარჩენის უპირატესი უფლება ეძლევათ მარტოხელა დედებს და ქალებს, რომელთაც ჰყავთ სამ წლამდე ასაკის ბავშვი.

ირინე ღლონტი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-16-90; 93-28-54.

ინტერპანორამა

ერაყის თავდაცვის მინისტრის ალი ალაუის თქმით, 2005 წლის 1 იანვრისთვის ადგილობრივი უშიშროების ძალებს უკვე შეეძლებათ ქვეყანაში სიტუაციის დამოუკიდებლად გაკონტროლება. ქვეყნის დროებითი მთავრობის ძირითად ამოცანად მინისტრი ეროვნულ ასამბლეაში არჩევნებისთვის მზადებას მიიჩნევს.

ისრაელი ღაზიდან ორ ეტაპად გავა. ამასთან დაკავშირებით არიელ შარონმა უკვე მიიღო მთავრობის წევრთა უმეტესობის მხარდაჭერა. ჯარების გაყვანა და დასახლებათა დემონტაჟი ეტაპობრივად განხორციელდება.

კოკისპირული წვიმებით გამოწვეულმა წყალდიდობამ დომინიკის რესპუბლიკაში 110 კაცი იმსხვერპლა. იგივე მიზეზით 140 ადამიანი დაიღუპა ჰაიტიზე. დაზიანდა 450-ზე მეტი სახლი, დაინგრა ქალაქი, 15 სოფლის მცხოვრებნი უსინათლოდ და კავშირგაბმულობის გარეშე დარჩა.

საქართველოს რესპუბლიკა
№ 119. ოთხშაბათი, 26 მაისი, 2004 წელი

● პრეზიდენტი

მთავარია ეკონომიკური აღმასვლა

გუშინ საღამოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით ქართველი ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენცია გამართა.

თავის გამოსვლაში ბატონმა მიხეილმა მოკლედ მიმოიხილა საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ განვლილ პერიოდში მომხდარი მოვლენები. უწინარესად, იგი შეეხო ეკონომიკის თემას და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქვეყნის აღმავლობაც და საქართველოს ტერიტორიული გამთლიანებაც სწორედ ეკონომიკურ აღმასვლაზეა დამოკიდებული.

პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა სოციალურ საკითხებზეც. მან აღნიშნა, რომ ხელისუფლება ჯერჯერობით ვერ შეძლებს ძველი სახელფასო თუ საპენსიო დავალიანებების ერთბაშად გასტუმრებას, მაგრამ ის, რომ ამჟამად დაუგვიანებლად გაიცემა ხელფასები და პენსიები, რაც რამდენიმე წლის წინათ წარმოუდგენელი იყო, ძალიან საგულისხმო ფაქტია.

— აჭარა, — აღნიშნა პრეზიდენტმა, — ჩემი უსაყვარლესი კუთხეა და არავის, არც ცენტრალური და არც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს არ მივცემ აჭარისა და აჭარლების დაჩაგვრის უფლებას.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა, იყო ქართული ჯარის მშენებლობა. მან ხაზგასმით აღნიშნა ის რადიკალური ცვლილებები, რაც ამ ბოლო თვეების მანძილზე ამ მხრივ მოხდა და მოუწოდა მოსახლეობას, დაესწროს დღევანდელ სამხედრო აღლუმს, სადაც თავად დარწმუნდება ამ სასიკეთო გარდატეხის რეალობაში.

დასასრულ მიხეილ სააკაშვილმა უპასუხა ჟურნალისტთა შეკითხვებს.

საკუთარი ინფორმაცია.

● პრემიერ-

რუსეთი მინისტრი „საქრუსგაზმრეწვის“ შექმნას მოითხოვს

საქართველო-რუსეთის მაგისტრალური გაზსადენის რეაბილიტაციისთვის „გაზპრომი“ ქართულ-რუსული ერთობლივი საწარმოს „საქრუსგაზმრეწვის“ შექმნის ინიციატივით კვლავ გამოდის.

დღეს მოსკოვში, საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ზურაბ ჟვანიასთან შეხვედრისას სს „გაზპრომის“ მმართველობის საბჭოს თავმჯდომარემ ალექსანდრე მილერმა კვლავ გამოთქვა სურვილი შეიქმნას ქართულ მხარესთან ერთობლივი საწარმო საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი გაზსადენის რეაბილიტაციის მიზნით, რისთვისაც „გაზპრომი“ 200 მილიონი დოლარის ინვესტიციის განხორციელებას აპირებს.

ალექსეი მილერმა ზურაბ ჟვანიას განუცხადა, რომ უმძიმესი ტექნიკური მდგომარეობის გამო საქართველოს მაგისტრალური გაზსადენი ამჟამად სულ 12 პროცენტით არის დატვირთული. რეაბილიტაციის შემდეგ კი შესაძლებელი გახდება ამ მილსადენით უკვე წელს, 6 მილიარდი კუბური მეტრი ბუნებრივი აირის ტრასპორტირება.

რუსეთი და საქართველო მოამზადებენ ყოვლისმომცველ შეთანხმებას ეკონომიკის დარგში თანამშრომლობის შესახებ — ამის შესახებ რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრმა მიხეილ ფრადკოვმა თავის ქართველ კოლეგასთან ზურაბ ჟვანიასთან შეხვედრის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა.

„დოკუმენტში კერძოდ, საუბარი იქნება ენერგეტიკულ სექტორში თანამშრომლობის თაობაზე“, — განაცხადა რუსეთის პრემიერმა.

მისი თქმით, მოლაპარაკების დროს საქართველოში რუსული ელექტროენერგიის ექსპორტის მოცულობის გაზრდის, საქართველოს ენერგეტიკული სიმძლავრეების რეკონსტრუქციასა და მოდერნიზაციაში რუსი სპეციალისტების მონაწილეობის თემას შეეხნენ.

ინტერ-პრესი.

ახალი ლაურეატები

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

2004 წლის 24 მაისი — ქ. თბილისი

საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის 2004 წლის სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ

1. მიენიჭოთ საქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის 2004 წლის სახელმწიფო პრემიები და საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება:

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დარგში:

1. **ლეონიდე გაბუნიას** — (გარდაცვალების შემდეგ); **აბესალომ ვეკუას** — გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლ. დავითაშვილის სახელობის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის ხერხემლიანთა პალეობიოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელს; **დავით ლორთქიფანიძეს** — გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილეს; **მედეა ნიორაძეს** — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ძველი ქვის ხანის არქეოლოგიის განყოფილების გამგეს — 1992-2001 წლებში შესრულებული შრომათა ციკლისათვის — „დმანისელი ადამიანის ადგილი ადრეულ ჰომინიდებს შორის, მისი მატერიალური კულტურა და ბუნებრივი გარემო“.

2. **ეთერ ქემერტელიძეს** (ხელმძღვანელი) — ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის დირექტორს;

მერი ალანიას — ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ფიტოქიმიის განყოფილების წამყვან მეცნიერ თანამშრომელს; **ვახტანგ ბარბაქაძეს** — ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ფიტოქიმიის განყოფილების წამყვან მეცნიერ თანამშრომელს; **ცარუ დალაქიშვილს** — (გარდაცვალების შემდეგ); **გენრი დეკანოსიძეს** — ფარმაცევტულ მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ფიტოქიმიის განყოფილების უფროს მეცნიერ თანამშრომელს; **დურმიშხან ტურაბელიძეს** — ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ქუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ფიტოქიმიის განყოფილების უფროს მეცნიერ თანამშრომელს — 1960-2001 წლებში შესრულებული შრომათა ციკლისათვის — „ბიოლოგიურად აქტიურ მცენარეულ ნივთიერებათა შესწავლა და ახალი სამკურნალო პრეპარატები“.

მედიცინის მეცნიერებათა დარგში:

1. **ლავრენტი მანაგაძეს** — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ალ. წულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო ხელმძღვანელს; **დავით გოცაძეს** — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიური ეროვნული ცენტრის უროლოგიური განყოფილების ხელმძღვანელს; **აკაკი ნადარეიშვილს** — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ულტრაბგერითი დიაგნოსტიკის და სისხლძარღვთა დოპლეროგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელს; **თეიმურაზ ჩიგოგიძეს** — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ალ. წულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის წამყვან სპეციალისტს; **გიორგი ხვადაგიანს** — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ალ. წულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის წამყვან სპეციალისტს — 1988-2000 წლებში შესრულებული შრომათა ციკლისათვის — „შარდის დერივაციისა და ენტეროცისტოპლასტიკის ახალი მიმართულებები — ხელოვნური შარდის ბუშტის ფორმირება ნაწლავის დეტუბულირებული სეგმენტით“.

2. **გულნარა ჩაფიძეს** — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის დირექტორს; **ალექსანდრე ალადაშვილს** — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის გულსისხლძარღვთა კათეტერიზაციის ლაბორატორიის ხელმძღვანელს; **სიმონ კაპანაძეს** — მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრის დირექტორს სამკურნალო დარგში — 1988-2000 წლებში შესრულებული ნაშრომისათვის — „საქართველოში გულის იშემიური დაავადებების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მაღალტექნოლოგიური (ინვაზიური და ინტერვენციული) მეთოდების დანერგვა“.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგში:

1. **იური ანანიაშვილს** — ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტის ეკონომიკის ანალიზის მათემატიკური მეთოდების კათედრის პროფესორს; **კლიმენტი აჩელაშვილს** — ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ანალიზის მათემატიკური მეთოდების კათედრის გამგეს; **იაკობ მესხიას** — ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული ფინანსების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს; **ვლადიმერ პაპავას** — ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაკროეკონომიკის კათედრის გამგეს, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდის უფროს მეცნიერ თანამშრომელს; **ავთანდილ სილაგაძეს** — ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ეკონომიკისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის კათედრის გამგეს; **გიორგი წერეთელს** — ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორს — 1965-2001 წლებში შესრულებული შრომათა ციკლისათვის — „მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები“.

2. **გიორგი ჩიტაიას** (გარდაცვალების შემდეგ); **თამილა ცაგარეიშვილს** — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოლოგიის კათედრის პროფესორს; **ზურაბ წერეთელს** — პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, რუსეთის სამხატვრო აკადემიის პრეზიდენტს — 1997-2001 წლებში გამოცემული — „შრომების“ (5 ტომი) და „ეთნოგრაფიული ალბომისათვის“.

ტექნიკის დარგში:

1. **ჯუმბერ იოსებიძეს** — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საავტომობილო ტრანსპორტის კათედრის გამგეს; **თორნიკე აფაქიძეს** — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საავტომობილო ტრანსპორტის კათედრის პროფესორს; **ალექსანდრე ჩხეიძეს** — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, პროფესორს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო ფაკულტეტის დეკანს; **ელგუჯა ქუთელიას** — ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზიკური მასალათმცოდნეობის კათედრის გამგეს, სტრუქტურული კვლევების რესპუბლიკური ცენტრის ხელმძღვანელს; **გიორგი აბრამიშვილს** — ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატს, დოცენტს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საავტომობილო ტრანსპორტის კათედრის გამგის მოადგილეს; **გელა ყიფიანს** — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების სამმართველოს უფროსს — 2000 წელს რუსულ ენაზე გამოცემული მონოგრაფიისათვის — „ავტომობილების ხანგამძლეობის, ეკონომიურობისა და ეკოლოგიურობის ამაღლება ახალი თაობის ზეთების დამუშავებითა და გამოყენებით“.

2. **ვლადიმერ ჟოჟიკაშვილს** — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მართვის პრობლემების ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელს; **ირინე ხომერიკს** — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკის საფუძვლების და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრის პროფესორს — 1986-2001 წლებში შესრულებული შრომათა ციკლისათვის — „ინფორმაციის რაციონალური განთავსება მსხვილ განაწილებულ გამოთვლით ქსელებში“.

უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოებისათვის:

ალმასხან გუგუშვილს — (გარდაცვალების შემდეგ); **მინდია სალუქვაძეს** — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის დირექტორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილების აკადემიკოს-მდივანს; **ვახტანგ ჭიჭინაძეს** — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტის დირექციის მრჩეველს — 1997 წელს გამოცემული სახელმძღვანელოსათვის — „ოპტიმალური და ადაპტური სისტემები“.

საშუალო და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სახელმძღვანელოებისათვის:

დემი ლაოშვილს — ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანს — 2000 წელს გამოცემული სახელმძღვანელოსათვის — „ენერგეტიკა“.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების დარგში:

თეიმურაზ შარაშენიძეს (ხელმძღვანელი); **თამაზ ნინუას, გელა სულაძეს, ვალერიან ბიბილურს, ანდრია გიგუაშვილს, ალექსანდრე გოგავას** — საქართველოს უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებს — ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეში შეტანილი წვლილისათვის.

II. ბრძანებულება გამოქვეყნდეს პრესაში 2004 წლის 26 მაისს.

მიხეილ სააკაშვილი.

● ინფორმაცია

დაპირისპირება

ნინო ბურჯანაძე მალე ქუთაისში ჩავა

უახლოეს მომავალში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ქუთაისში ჩასვლას და რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულის — დავით მუმლაძის ოპოზიციასთან შეხვედრას აპირებს.

როგორც ნინო ბურჯანაძემ გუშინ სიონის საკათედრო ტაძარში შეკრებილ ჟურნალისტებს განუცხადა, მისთვის ცნობილია ის პრეტენზიები, რასაც ქუთაისის მოსახლეობა იმერეთის გუბერნატორს დავით მუმლაძეს უყენებს. „თუმცა ჩემთვის უმჯობესი იქნება, თუ შექმნილ სიტუაციას ადგილზე გავეცნობი და როგორც ერთი მხარის, ასევე მეორე მხარის პრეტენზიებს მოვისმენ. დარწმუნებული ვარ, რომ აღნიშნული დაპირისპირება უახლოეს მომავალში გადაწყდება და მტყუან-მართალიც გაირკვევა“, — განაცხადა მან.

რაც შეეხება სიონის საკათედრო ტაძარში გამართული ქართული საბრძოლო დროშების კურთხევას, ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ეს საკმაოდ ამაღელვებელი და მნიშვნელოვანი ფაქტია. მისი აზრით, ქართული დროშა ის სიმბოლოა, რომლისთვისაც ადრე თაობები სიცოცხლეს სწირავდნენ და დარწმუნებულია, რომ მომავალშიც ასე გაგრძელდება. თუმცა ნინო ბურჯანაძე იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ამის აუცილებლობა აღარ იქნება და ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ დაისადგურებს მშვიდობა.

დღეს

აღლუმი ყველაზე მასშტაბური იქნება

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სამხედრო აღლუმი დღეს 300 არაგველების მემორიალთან ზუსტად 11.00 საათზე დაიწყება და დაახლოებით ორი საათის განმავლობაში გაგრძელდება. საზეიმო აღლუმს საქართველოს შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ჩაიბარებს.

წლევანდელ სამხედრო აღლუმზე მონაწილეობას თავდაცვის სამინისტროსა და შინაგანი ჯარების 4904 სამხედრო მოსამსახურე და მრავალრიცხოვანი სამხედრო ტექნიკა მიიღებს. გამოყენებული იქნება 47 ერთეული საარტილერიო ტექნიკა, 14 ერთეული საზენიტო-საარტილერიო დანადგარი და 10 ერთეული საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი.

გარდა ამისა, სამხედრო აღლუმში მონაწილეობას მიიღებს 111 ერთეული ჯავშანტექნიკა, 17 ერთეული მფრინავი საშუალება და 87 ერთეული სამეთაურო ავტომანქანა.

თბილისის გარდა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო სამხედრო აღლუმი ხვალ ბათუმშიც გაიმართება, რომელსაც ასევე პრეზიდენტი სააკაშვილი ჩაიბარებს. აღლუმს თავდაცვის სამინისტროს საზღვაო თავდაცვის ძალები გამართავს, რომელშიც მონაწილეობას 20 მცურავი საშუალება მიიღებს.

ქველმოქმედი

პატარკაციშვილი „იმედის ბაღს“ ქმნის

ქართველი ბიზნესმენი და ქველმოქმედი ბადრი პატარკაციშვილი კიდევ ერთი ახალი პროექტის - „იმედის ბაღის“ განხორციელებაში შეიტანს წვლილს. კერძოდ, მას განზრახული აქვს თბილისის რამდენიმე ბაღისა და სკვერის კეთილმოწყობა, რათა, როგორც პატარკაციშვილი აცხადებს, „თბილისი კიდევ უფრო მიმზიდველი და სასიამოვნო სანახავი გახდეს“.



პირველ ეტაპზე თბილისის პირველი სკოლის, იგივე კლასიკური გიმნაზიის წინ მდებარე სკვერის კეთილმოწყობა იგეგმება. ამ პროექტის პრეზენტაციას, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს 26 მაისს №1 სკოლის წინ გაიმართება, პატარკაციშვილთან ერთად, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც დაესწრება.

„საქართველოს ბულბული“

ძეგლი - ვანო სარაჯიშვილს

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები თბილისში ვანო სარაჯიშვილის ბიუსტის გახსნით დაიწყება.

როგორც „ინტერ-პრესს“ თბილისის კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის საქალაქო სამსახურში განუცხადეს, მოქანდაკე ოთარ ფარულავას მიერ შესრულებული ბიუსტი ოპერის თეატრის ბაღში დაიდგმება.

დღის მეორე ნახევარში სტუდია „ბასტი-ბუბუს“ საბავშვო კონცერტი მოეწყობა. იგეგმება ასევე „სტუდენტური დღეების“ საზეიმო დახურვა, საღამოს კი — გრანდიოზული კონცერტი ვაკის პარკში. მასში მონაწილეობას მიიღებენ ბაკურ ბურდული, ნიაზ დიასამიძე, ჯგუფები „სოფთ ეჯექთი“, „ზუმბა“, „33 ა“, „მწვანე ოთახი“ და სხვები.

ინტერ-პრესი.

● კანონმდებლები

ასეთი რა გაგვიჭირდა?

(პირველი გვერდიდან)

ოქროს ვერძის გამოსახულება, რომელიც ძირითადად დავის საგანი იყო, პლენარულ სხდომაზე გატანამდე დაიხვეწა და მას ცხვრის ტყავის ფორმა მიეცა, მაგრამ ოპონენტები მაინც სხვა ბევრი რამითაც უკმაყოფილო იყვნენ. ზოგს საერთოდ არ მოსწონს, რომ გერბზე ოქროს საწმისია გამოსახული, ზოგმა მთა დაიწუნა, ზოგმა ის კომისია, რომელმაც გერბზე იმუშავა, ზოგმა კი ეს ყველაფერი ნაჩქარევად მიიჩნია.

ასე რომ, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მოთხოვნას, პარლამენტს საგანგებო სხდომაზე დაჩქარებული წესით განეხილა კანონი „საქართველოს სახელმწიფო ატრიბუტიკის (ამ შემთხვევაში მხოლოდ გერბია დარჩენილი) შეცვლის შესახებ“, გუშინ დეპუტატებმა მხარი არ დაუჭირეს. საკითხის განხილვა ორი კვირით გადაიდო. ჩვენთან საუბარში მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერმა დავით გამყრელიძემ განაცხადა: **„შეუძლებელი იყო პარლამენტს ასეთი მნიშვნელოვანი კანონი — სახელმწიფო გერბთან დაკავშირებით, ნაუცბათევად მიეღო. აქ შეიძლება ჰერალდიკური წესები დაცულია, მაგრამ თავისთავად გერბი თავისი გამოსახულებით უნდა იყოს აღქმადი და ერთიან ასოციაციას იწვევდეს. ჩვენ არა ვართ ისეთი სახელმწიფო, რომელიც დღეს იქმნება და დღეს ყალიბდება. ალბათ, უფრო გამართლებულია, ახალ გერბს საფუძვლად „კვართიან-დავითიანი“ გერბი დაედოს, რომელიც საუკუნეების მანძილზე საქართველოს გერბი იყო. კომისიამ მის ირგვლივ იმუშაოს. ამით პარლამენტს საშუალება მიეცემა, ჰქონდეს ალტერნატივები, რომ შესაბამისი გადაწყვეტილება აც მიიღოს“.**

ბატონ დავით გამყრელიძეს „კვართიან-დავითიანი“ გერბი შემთხვევით არ უხსენებია. არსებობს 1999 წლის პარლამენტის დადგენილება, სადაც წერია, რომ ახალი გერბის საფუძველი სწორედ „კვართიან-დავითიანი“ გერბი უნდა გახდეს. ამის უფლებას კი (გარდა ზოგიერთი ნიუანსის გადმოღებისა) „ბაგრატოვანთა სახლი“ არ იძლევა, იმ მოტივით, რომ ეს მათი საგვარეულო გერბია.

დეპუტატები იმედოვნებენ, რომ მოლაპარაკების შემდეგ „ბაგრატოვანთა სახლის“ წარმომადგენლებს დაითანხმებენ და საქართველოს ახალ გერბს საფუძვლად „კვართიან-დავითიანი“ გერბი დაედება. მოსაწონი გერბი თუ მაინც ვერ შეიქმნა, მაშინ, შესაძლოა, ჰერალდიკოსთა მსოფლიო საბჭო დაგვეხმაროს და ჩვენთვის სასურველი ვარიანტი გამოგვიგზავნოს, — იმედოვნებს ელდარ შენგელაია.

ასეთი რა გაგვიჭირდა?

მზია გელენავა.



„თქვენი ბრძანებისამებრ გამოვცხადდი, ბატონო ვიცე-სპიკერო!“

ჯემალ კასრაძის ფოტო.

● ჟურნალისტი მივლინებიდან დაბრუნდა

აჭარას შეუძლია სერიოზული ექსპორტიორი გახდეს

(პირველი გვერდიდან)

როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის აგრარული ბიოტექნოლოგიებისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი გურამ პაპუნიძე ჩემთან საუბარში აღნიშნავს, მან ანალოგიური მოხსენება სემინარზეც წაიკითხა. საქართველომ დღემდე ეკონომიკის გაჯანსაღების, მისი დარგობრივ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგიული კურსი შეიმუშავა. ამიტომაც იქმნებოდა წარმოების ცალკეულ სფეროებში მცირე და საშუალო პროფილის საწარმოები ქაოსურად. ისინი ამასთან ძირითადად არალეგალურად, დაბალი რენტაბელობით მუშაობდნენ და ხშირადაც იხურებოდნენ.

როგორც ბატონი გურამი ამბობს, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების პრობლემა კიდევ უფრო მწვავედ იდგა აჭარაში. ადგილობრივი ხელისუფლების ბიუროკრატიული, ანტიქართული ქმედების გამო, რეგიონი სრულ იზოლაციაში იყო მოქცეული. აქ მცირე და საშუალო ბიზნესის განსავითარებლად ხელისუფლება არაფერს აკეთებდა. მეტიც, ადგილობრივი ფინანსური რესურსებიდან და სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი თანხებიდან, რომლებსაც ადგილობრივი ხელისუფლება უკანონოდ ითვისებდა, აჭარაში საშუალო და მცირე ბიზნესის ხელშესაწყობად ერთი თეთრიც არ დახარჯულა. თუ იხარჯებოდა, ისიც მხოლოდ პირად კომერციულ ინტერესებსა და მოჩვენებით მიზნებს ემსახურებოდა. მეტიც, კომერციული ბანკებიდან ინდივიდუალური სესხის აღების მსურველ დაინტერესებულ ჩინოსანთაგან ისეთი ბარიერები ექმნებოდა, რომ, უმეტეს შემთხვევაში, წამოწყებული პროექტის განხორციელება შეუძლებელი ხდებოდა.

როგორც პროფესორი გურამ პაპუნიძე აღნიშნავს, ბათუმის აგრარული ბიოტექნოლოგიებისა და ბიზნესის ინსტიტუტს შექმნილი აქვს უნიკალური პროდუქციის საცდელი ექსპერიმენტული ნიმუშები და მათი წარმოების ტექნოლოგიური პროექტები.

ყურადსაღები ფაქტი: ბატონმა გურამმა ჩემთან საუბარში ერთგვარი გულისტკივილით აღნიშნა, რომ მათ ამ ფორუმზე საგანგებოდ მოიტანეს თვიანთი პროდუქცია — ტყემლის, მანდარინისა და ფორთოხლის ნატურალური, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი, თუმცა მრგვალ მაგიდაზე, რომელსაც სემინარის მონაწილენი ვუსხედით, ბათუმური გამაგრილებელი სასმელი არავის გახსენებია, იქ ძირითადად „ფანტა“ და „კოკა-კოლა“ იწონებდა თავს. ჩვენ თუ არ ვისწავლეთ საკუთარი მეწარმისა და ნაწარმის პატივისცემა, სხვა ამას ჩვენს მაგივრად არავინ გააკეთებს. ასეა ყველგან. ასე უნდა იყოს ჩვენთანაც.

ბატონ გურამ პაპუნიძის თქმით, აჭარაში მცირე და საშუალო ბიზნესის პრიორიტეტულ მიმართულებად მაღალმთიან რაიონებში — ქედაში, შუახევსა და ხულოში საუკეთესო პრობებია მეხილეობის, მევენახეობის, მებოსტნეობის, ბავშვთა კვების ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების, სამკურნალო ექსტრაქტების საწარმოებლად. აქ დიდი პერსპექტივა აქვს მეცხოველეობას, ხორცისა და რძის, მეფუტკრეობის პროდუქტების გადამამუშავებელ დარგს, თევზის სატბორე მეურნეობის ქსელის გაფართოებას, ლიფსიტების ინკუბატორებისა და ბიოლოგიური საკვები მასის წარმოების ორგანიზაციას.

ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონებში ძირითადად ჩაის, ციტრუსის, ხილისა და სხვა უნიკალური კულტურების მოყვანა და გადამუშავებაა შესაძლებელი. ასევე აქ კარგი პირობებია შებოლილი ხორცისა და თევზის წარმოებისთვის, საკურორტო სეზონის მომსახურების ობიექტების ქსელის გასაფართოებლად და სხვადასხვა ტექნიკური მომსახურების ობიექტების ინფრასტრუქტურის შესაქმნელადაც.

ბათუმში ძირითად მიმართულებად უნდა ჩაითვალოს სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოთა ბაზაზე მცირე და საშუალო ტიპის სხვადასხვა პროფილის საწარმოების შექმნა. სატრანსპორტო კომუნიკაციებისა და გადაზიდვების მომსახურების ობიექტების ქსელის, ვაჭრობის, კვების ობიექტების, სასტუმრო მეურნეობებისა და მომსახურების ობიექტების გაფართოება.

აჭარის აგროსამრეწველო სექტორში, როგორც ბატონი გურამი შენიშნავს, სანედლეულო ბაზის გაფართოების მიმართულებით ტრადიციული და უნიკალური ჯიშის ხილისა და ყურძნის სანერგე მეურნეობის განვითარება ერთ - ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

აქვე უსათუოდ უნდა შევეხო ერთ მეტად სერიოზულ პრობლემას, რომელიც პროფესორ გურამ პაპუნიძის განმარტებით, აჭარაში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებასა და ადგილობრივ ბაზარზე რეგიონში მომუშავე ბიზნესმენთა პროდუქციის წარმოების გაფართოებაზე ძალზე უარყოფითად მოქმედებს. სერტიფიკაციის სამსახურის არაკომპეტენტურობის, ფორმალობის, ლაბორატორიული შემოწმებისა და დასკვნის მომზადების მატერიალურ - ტექნიკური ბაზის გაუმართაობის გამო, ადგილობრივი მეწარმეები უცხოურ ფირმებთან არაჯანსაღი კონკურენციის პირობებში მუშაობენ.

ერთადერთი დარგი, რომელმაც მოსახლეობაში შეინარჩუნა ინტერესი, როგორც შიდა ისე გარე ბაზარზე სამუშაოდ, მეთამბაქოეობაა. ქვეყანაში გამეფებულმა ქაოსმა, ხელისუფლების გულგრილობამ რეგიონში თითქმის გააპარტახა თამბაქოს მოყვანის, გადამუშავებისა და რეალიზაციის გამართული სისტემა. ამის მიუხედავად, ბოლო დროს გამოჩნდა არა მარტო თამბაქოს დამზადების, არამედ მისი ფერმენტირებული ნედლეულის რეალიზაციის შანსი, რაც უსათუოდ გამოსაყენებელია და ამას ინვესტორების მხრიდან ყურადღება უნდა მიექცეს.

ასევე პერსპექტიულია მეაბრეშუმეობა. აჭარის ბუნებრივ - კლიმატური პირობები, რელიეფი, ტრადიცია და მოსახლეობის გამოცდილება საშუალებას იძლევა სერიოზული ბიზნეს-პროექტები მომზადდეს აბრეშუმის მაღალხარისხიანი პარკის დასამზადებლად.

საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების წარმოებული პროდუქციის ბაზარზე მყარად დამკვიდრების ერთ - ერთ მთავარ პირობად თანამედროვე დიზაინისა და სტანდარტის ტარის წარმოების ორგანიზება უნდა განვიხილოთ. ეს პრობლემა ქვეყანაში უკვე მწვავედ დგას და მის გადაუჭრელად საწარმოთა სასურველი რენტაბელობის მიღწევა გაჭირდება. ქვეყანაში ამის საშუალებები და ტრადიციაა და ამ პოტენციალის გამოუყენებლობა დაუშვებელია.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაში წამყვანი როლი საბანკო ორგანიზაციებს ენიჭება. დღეს აჭარის სახალხო მეურნეობის დარგში მომუშავე ბიზნესმენებს, ინდმეწარმეებს სწორედ შეღავათიანი სესხებით დახმარება სჭირდება. აქ უნდა შეიქმნას მიკროსაფინანსო მომსახურების გაფართოების ჯანსაღი გარემო. აუცილებელია აჭარაში აქტიურად ამოქმედდეს სხვადასხვა ქვეყნებში და ჩვენთან არსებული მომსახურების ისეთი ფორმები, როგორიცაა: თავდებობა, სუბსიდია, სუბვენცია, ლიზინგი...

როგორც ირკვევა, მეწარმეობის მსურველთა დიდი ნაწილი სერიოზულ წინააღმდეგობას აწყდება ბიზნეს - გეგმების შედგენის, საჭირო ტექნოლოგიების შერჩევის, შეძენისა და გამოყენების საქმეში. ჩვენ ამ პრობლემის ნაწილობრივ მაინც მოსაგვარებლად, რასაც გავწვდებით, განზრახული გვაქვს მუდმივმოქმედი საინფორმაციო, სარეკლამო, საგამოფენო, სავაჭრო და საკონსულტაციო ცენტრის შექმნა, სადაც დამწყებ ბიზნესმენებს არსებულ ტექნიკურ და ტექნოლოგიურ საშუალებებზე, მათი გამოყენების, დანერგვისა თუ სხვა სახის მომსახურებაზე ამომწურავი ინფორმაციის მიღება შეეძლებათ.

დღეს აჭარას ეკონომიკის განსავითარებლად ყველა სახის პრაქტიკული დახმარება სჭირდება, რათა აქ მისაღები საინვესტიციო გარემოს შექმნის გარდა, ადგილობრივ ბიზნესმენთა შესაძლებლობებისა და რესურსების ათვისების პირობები შეიქმნას.

აჭარას ეკონომიკის სწრაფად განვითარების შესანიშნავი პირობები და რესურსი აქვს. ამ რეგიონის მიმართ რომ ინტერესიც დიდია, ამას ბათუმში სემინარზე საგანგებოდ ჩამოსული საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების სიმრავლეც მეტყველებს. მეტად საყურადღებო და მისასალმებელია, რომ აჭარის ეკონომიკაში, თუ ამის პირობები იქნება, სერიოზული კაპიტალის დაბანდებას ფიქრობენ ქართველი ბიზნესმენები. საქართველოს მსხვილი ბანკები აჭარაში უკვე შეუდგნენ თავიანთი ქსელის გაფართოებას, რაც რეგიონს მომავლის კარგ პერსპექტივას უქმნის.

შოთა მაჭარაშვილი.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“. № 114-115-116

დაბრუნება საქართველოში

ლიხს იქით და აქეთ, მტკვარს, ლიახვს
და ფაზისს
არქმევენ უდაბნოდ გადაშლილ ოაზისს,
სადაც მზე მწველია, ცხელია ქარები,
მცხეთაში გრიალით მიქრიან ზარები,

გუგუნებს იტრიის ხეობა უღრანი
და ოხრავს წარსულზე ნანგრევი
მუხრანი,

ყველგან უჩინრად ტირიან დანაკლისს
თამარის ტაძრები და მკლები ირაკლის.
და
ყოველ საფლავზე, მზის ყოველ ღეროზე,
ხაზებად იშლება ელადა, ეროსი!
სალამი,
სალამი სამშობლოს?

სალამი ჩემს მვირფას სამშობლოს!
საღამოს ლანდებად ბურუსი ნიავის
მიდამოს სდებია...
გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ
ქლიავის?

ეს ჩემი სამშობლო მთებია!
მე რაღაც იდუმალ მოლოდინს
ვუნდები...

ირგვლივ ზვირთებია
და გემი „დალანდი", რომლითაც
ვბრუნდები.

გალაკტიონ ტაბიძე.

დაიბეჭდა
„საქართველოს რესპუბლიკის"
ფურცლებზე 1919 წელს.
№144, 26 მაისი.

განსჯა

თუ ძმობაა, ძმობა იყოს

წალკის ამბები, სხვადასხვა მასშტაბის ინციდენტები ახალქალაქისა და სხვა რაიონებში, რომლებშიც ქართული მოსახლეობა, ჩვენდა საუბედუროდ, უმცირესობას წარმოადგენს, თითოეულ ქართველს აღელვებს.

ინციდენტები და მერე ვისთან?

ჩვენს უახლოეს მეგობრებთან და ძმებთან, — სომხებთან. დაუჯერებელია, ეს იყოს ეთნოკონფლიქტი. ეს ყოფითი ხასიათის, სხვადასხვა მიზეზით ადგილზე წარმოქნილი დავაა, რომელსაც დაუყოვნებლივ მოვლა და რეგულირება სჭირდება, თორემ ავანტიურისტისა და ორივე ხალხის მტრის მცდელობით, ვინ იცის, რაში გადაიზრდება. ამის საფუძველიც არსებობს. რამდენიც გნებავთ, მაგალითის მოყვანა შეიძლება, როდესაც ორი ქართული რაიონის ფეხბურთელთა მატჩს ჩხუბი მოჰყოლია, როდესაც ერთიდაიგივე ქართული სოფლის ორი უბნის მცხოვრებლები ერთმანეთს წაჰკიდებიან სარწყავი თუ სასმელი წყლისთვის, სახნავ-სათესი მიწისთვის და ა.შ.

სტიქიით დაზარალებული აჭარისა და სვანეთის მოსახლეობის ახალქალაქისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში ჩასახლების გადაწყვეტილებას, თავის დროზე, წინ უძღოდა საკმაოდ დასაბუთებული ეკონომიკური ანალიზი (თავისუფალი სახნავ-სათესი ფართობების არსებობა, შრომითი დასაქმების შესაძლებლობანი, კლიმატის შესაბამისობა, სამეურნეო საქმიანობის ერთგვაროვნება და სხვა სოციალური საკითხები).

აჭარის მაღალმთიან სოფლებში მოსახლეობის სიმჭიდროვე, მცირემიწიანობა, მიწის ბუნებრივი საფარის, მათ შორის ტყის ინტენსიური განადგურება გახდა სტიქიური მოვლენების მიზეზი და ამ რეგიონის ქართული მოსახლეობის საქართველოს სხვა რაიონებში განსახლება, მით უმეტეს, როდესაც სტიქიის მოქმედებას ბოლო არ უჩანდა, სრულიად ლოგიკური იყო.

იგივე ფაქტორებმა განაპირობეს სვანეთის მოსახლეობის საქართველოს სხვა რაიონებში განსახლების აუცილებლობა.

რამდენიმე ათეული წელია, რაც ჩვენს ქვეყანაში ბოლო პერიოდში მოძალებული სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის სამსახურში ვიმყოფები და თავს უფლებას ვაძლევ გავიხსენო, თუ როგორი ენთუზიაზმით და სრული გულწრფელობით შრომობდა ახალქალაქის სომხური მოსახლეობა ამ რაიონის ტერიტორიაზე, სტიქიით დაზარალებულ აჭარელთა ოჯახების ჩასასახლებლად ახალი სოფლების მშენებლობაზე.

არც სარწმუნოებრივ ნიადაგზე დაპირისპირებაა სარწმუნო. ყველას კარგად მოეხსენება, რომ სომხურ-აზერბაიჯანული კონფლიქტის ყველაზე დაძაბულ პერიოდშიც კი საქართველოში, უშუალო მეზობლობაში მცხოვრებ ამ ორ ერს მცირეოდენი კონფლიქტური სიტუაციაც არ შეუქმნიათ. ეს, უდავოა, ქართული ცხოვრების ადათწესმა, ქართული ცხოვრების ფონმა განაპირობა.

იმედია, ჩვენი სომეხი მეგობრები სწორად გაგვიგებენ, დაყვედრება აქ არაფერ შუაშია, თუ აღვნიშნავთ, რომ სომხეთის მიწისძვრის პირველსავე მომენტში ქართველი მაშველები ტრაგედიის ადგილზე გაჩნდნენ. შემდეგ კი, უბინაოთა ჩამოყვანა და მოვლა, დაზარალებულთა კვება, სამედიცინო მომსახურება და ბოლოს, შენობა-ნაგებობების აღდგენასა და ახლის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა. ქართველ სპეციალისტთა შორის ამ დროს მრავლად იყვნენ აჭარის წარმომადგენლებიც.

შეგვიძლია, გავიხსენოთ სომეხი მეგობრების დახმარების მაგალითებიც, როცა საქართველოს უჭირდა.

ახლა მთავარია, აქცენტი ჩვენი ქვეყნების ახალგაზრდა პრეზიდენტთა ჯანსაღ ურთიერთობაზე გავაკეთოთ. მასმედიაც ფაქიზად უნდა მოეკიდოს ამ საკითხს. ზოგჯერ შეიმჩნევა მომხდარის გაზვიადება და ტრაგედიად წარმოსახვა. ეს მხოლოდ ჩვენს საერთო მტერს აწყობს.

ქართველი და სომეხი ხალხის კეთილი საერთო ცხოვრების ბრწყინვალე და შეუდარებელ მაგალითს ჩვენი მრავალსაუკუნოვანი თბილისი იძლევა.

და ბოლოს, შეიძლება ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ჩვენს მიწაზე მცხოვრებ არცერთ სომხურ ოჯახს ეროვნული ხასიათის ოდნავი პრობლემაც არ შექმნია. ეს მომავალშიც, უდავოა, ასე იქნება. რაც შეეხება პროვოკაციულ მცდელობას, მათ წინააღმდეგ ბრძოლა, შესაბამის ქართულ სტრუქტურებთან ერთად, თვით სომხეთის მოწინავე საზოგადოებასაც ევალება, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენს ხალხებს შორის შუღლის ჩამომგდებს ფეხქვეშ მიწა უნდა ეწვოდეს.

ჩვენი საერთო ცხოვრების ისტორია და პრაქტიკა სრულ საფუძველს იძლევა იმისთვის, რომ საქართველოს მოქალაქე სომხები ქართველებთან ერთად იბრძოდნენ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, მით უმეტეს, რომ ეს პირდაპირ კავშირშია მათი ძირძველი სამშობლოს — სომხეთის სახელმწიფო ინტერესებთან (იგულისხმება სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა).

ის, რაც ამ წერილშია ნათქვამი, მეტ-ნაკლებად ეხება საქართველოს სხვა არაქართველი ეროვნების მოქალაქეებსაც. ძლიერი, მაღალგანვითარებული და ტერიტორიააღდგენილი საქართველო ერთნაირად საოცნებოა ჩვენს მიწაზე მცხოვრები ნებისმიერი ეროვნების მოქალაქისთვის. ეს ოცნება რეალურად შეერთებული ძალით უნდა ვაქციოთ. თანაც, რაც შეიძლება მალე!

რევაზ ტყემალაძე,
საქართველოს ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

ხსოვნის კულტურა

ფიქრები ზვიად გამსახურდიაზე

ჯერ კიდევ ვერ გამოიკვეთა, ვერ წარმოჩინდა უცხო „წითელი" ინტელიგენციის ალტერნატიული, ჭეშმარიტი ქართული ინტელიგენცია. ამიტომ გაბედა ვიღაც სალახანამ საქვეყნოდ განეცხადებინა, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტი კანიბალი, ხოლო ეროვნული მოძრაობის დიდი მოღვაწე მერაბ კოსტავა უწმინდური იყო (ეს ითქვა 1993 წ. სექტემბრის მიტინგზე ქ. თბილისში), მთქმელი კი ჯილდოდ დიდხანს იჯდა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში, შევარდნაძის ხელისუფლების საყვარელი პარლამენტარი. ამიტომ უგდებდა ყურს საზოგადოება დათრგუნვილი, როცა იგი შევარდნაძის შესახებ ნათქვამ სიტყვას პათეტიკურად ამთავრდებდა: „ვაცალოთ ამ კაცს მეფობა, მან ეს იცის" და მას დემეტრე თავდადებულს ადარებდა. ასეთ ტაშისდამკვრელთა იმედით განაცხადა ბატონმა შევარდნაძემ: „თუ ხმამაღლა ნათქვამი არ იქნება, არასოდეს არ მტოვებს სახელმწიფოებრივი სიბრძნე" და „სწორსაც" ბრძანებდა, აბა, სხვას ვის შეეძლო თუნდაც ხალხთა დამეგობრების საკითხი ასე მარტივად და უბრალოდ გადაეწყვიტა. მისი ბრძანებით: სამეგრელოს ამწიოკებელი მკვლელები — „სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში — აბაშაში გამოჩენილი გმირობისა და თავდადებისათვის პოლკოვნიკი რობერტ აროიანი, თავდაცვის სამინისტროს სატანკო პოლკის ტანკის მეთაური ნორიკ ერიციანი და დავით ყარმაზაშვილი, თავდაცვის სამინისტროს სატანკო პოლკის მეთაური, ვახტანგ გორგასლის მე-3 ხარისხის ორდენით დაჯილდოვდა" (1993 წლის 6 ნოემბერი). ასეთი ბრძანების ავტორს, კაცს, რომელმაც ნახევარი საქართველო მტერს ჩააბარა, ათობით წლის განმავლობაში, დითირამბებს უგალობდა განათლებული კაცი, რომელსაც ახლა ძალიან ეჩოთირება, როცა „წითელ" ინტელიგენტს ეძახიან. იქნებ გვეფიქრა, რომ აქ მოხსენიებული ინტელიგენციის ნაწილზე მსჯელობა სცილდება ახლანდელი ჩემი განზრახვის კონტექსტს? არავითარ შემთხვევაში, განზრახვაა მოვიგონო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან შეხვედრების, რამდენიმე ჩემთვის ძვირფასი დღეები, და ბუნებრივია, გვერდს ვერ ავუვლიდი იმ კასტას, რომელმაც საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მკვლელობას ხელი შეუწყო.

მეამაყება, როცა ვამბობ, ზვიად გამსახურდიას ვიცნობდი-მეთქი, უფრო ადრე ვმეგობრობდი ზვიადის დასთან, მშვენიერ და უნიჭიერეს თამართან.

ზვიადი რომ გავიცანი, სულ ახალგაზრდა იყო. არ მახსოვს წელი, რიცხვი, დღე. ხომ არ შემეძლო მცოდნოდა, რომ იმ საღამოს ფუნიკულიორის რესტორნის ჭრელ სტუმართა შორის თავისუფალი საქართველოს მომავალი პირველი პრეზიდენტი გავიცანი. ისე კი, ზვიადის გაცნობა მაშინაც საინტერესო იყო და არა მხოლოდ იმიტომ, რომ დიდი კონსტანტინეს მემკვიდრეს წარმოადგენდა. ზვიადს მაშინ უკვე საინტერესო ბიოგრაფია ჰქონდა, იგი ყურადღებას იმითაც იქცევდა, რომ გამოირჩეოდა განსაკუთრებული, თვალში საცემი თვალტანადობით, საინტერესო მანერებით. ერთი სიტყვით, ის იყო შესანიშნავი ახალგაზრდა ესთეტი.

ჩემი სუფრა აშლილი იყო, მოვიდა, ნებართვა მთხოვა, გამეცნო: „ზვიად გამსახურდია". დაყოვნდა და დაამატა, მე თქვენ გიცნობთ, თამარისაგან გიცნობთ. თქვენ შესახებ ბევრ საინტერესოდ ყვება ხოლმე, საუბარი აეწყო, ჩემი მანქანით წაგიყვანთ, შემომთავაზა ზვიადმა. შევიაროთ ჩემთან, კონსტანტინეს გაგაცნობთ, ვისაუბროთ, გავიცნოთ ერთმანეთი. უკვე გვიანაა, ვუპასუხე, რა გვიანაა, მამაჩემს თითქმის არასოდეს სძინავს, სახლში კი სხვა არავინაა, ზღვაზე ისვენებენ. უსიტყვოდ დავნებდი. ცოტა ხანში კოლხურ კოშკში ვართ. მოხვედი ზვიად? გაისმა საიდანღაც გაბზარული ხმა. ტანში გამცრა, ეს კონსტანტინე იყო, აივანზე გამოვიდა, ზვიადმა წარმადგინა. ხელი ჩამომართვა, ვიგრძენი, შუბლზე ცვარი დამასხა.

ტაბლას სამი კაცი ვუსხედვართ. ერთი მათგანი ქართველი კლასიკოსი, დიდი მწერალი კონსტანტინე გამსახურდიაა.

— გიორგი, როგორი ოჯახელშია?

— კარგია ბატონო კონსტანტინე, მაგრამ რაღაც ხელი დაჰკრავს, გამოვამჟღავნე „დეგუსტაციის" ნიჭი. „ბიჭო, შე მამაძაღლო, აქე, რა გენაღვლება, ხომ არ ყიდულობ", ღიმილით „მისაყვედურა" მასპინძელმა. დავირცხვინე. მართალი ხარ, ეს ღვინო ახლახან მომართვეს, ნამგზავრია, უნდა დაისვენოს, თავისთავს დაუბრუნდეს, გამამართლა ბატონმა კონსტანტინემ. პირველად მესმოდა ღვინის დასვენების თაობაზე. კონსტანტინე გამსახურდია არასოდეს ასე ახლოს არ მენახა, არაფერი ზებუნებრივი, მაგრამ არც ჩვეულებრივი, სახე საოცრად მეტყველ ძველ ფრესკას მიუგავდა, არაბუნებრივად გამხდარი იყო და გამახსენდა სადღაც გაგონილი: „როცა ხორცი ჭკნება, სული ყვავის".

სადაური კაცი ხარ? მოულოდნელად მკითხა მწერალმა. იმერეთიდან, — სწორი ხარ, იმერეთიდან და არა იმერელი. მერე წამოიწია, ნელა გაიმართა წელში და გამოუმშვიდობებლად გავიდა. ზვიადმა თვალით მანიშნა, გაიღიმა და წყნარად თქვა, ახლა უკვე სხვაგან არი. ერთხანს კიდევ ვისაუბრეთ, ზვიადი ქრისტიანობის ოფიციალურად აღდგენის შესახებ საუბრობდა, მე ვდუმდი, ან რა შემეძლო მეთქვა, საკითხის შესახებ მწირი ცოდნა მქონდა, ზვიადი კი უკვე შესანიშნავი თეოლოგი იყო.

შუაღამე გადასული იქნებოდა, ელექტრონით გაღადღადებულ მშვენიერ ეზოში

მარცხნიდან: ზვიად გამსახურდია, გიორგი (ჰასან) ნადირაძე და მუხრან მაჭავარიანი ჟურნალ „დილის" რედაქციაში. 1977 წელი.

რომ გამოვედით, საგანგებოდ შემოკავებულში, ზაქის ტოლა ქოფაკი ბანით ღრინავდა. ზვიადის ავტომობილი ალაყაფის კარს გარეთ იდგა. წაგიყვანთ, შემომთავაზა მასპინძელმა, არ დავანებე — კოლხური კოშკიდან რამდენიმე ნაბიჯზე მდებარე ტაქსების გარაჟი მთელი ღამე მუშაობდა.

ნათლად მახსოვს, ზვიადს იმ ღამეს არც ერთი უხამსი სიტყვა, ჟარგონი, უხერხული გამოთქმა არ დასცდენია, მის საქციელში ქუჩის გავლენა არსად ჩანდა, რასაც შემდგომში საცოდავი, გაბრიყვებული, აჯანყებული ქუჩის ბიჭები პრეზიდენტის დიდ ნაკლად აცხადებდნენ. ხშირად არა, მაგრამ ზვიადს ვხვდებოდი. ერთხელ თამრიკომ (ასე ვეძახდით) მითხრა, იქნებ ტანსაცმელვაჭრობაში ვინმეს იცნობ, მინდა მამაჩემს კოსტუმი ვუყიდოო. მშვენიერი ლურჯი ინგლისური კოსტუმი ვუყიდეთ. თამრიკომ სახლში დამპატიჟა. მამა, კოსტუმი გიყიდე, შენი კოსტუმები დაძველდა, „რას ამბობ, გოგო, რესპუბლიკას მე ვაძლევ მოდას", — იხუმრა ბატონმა კონსტანტინემ.

ზვიადი შინ დაგვხვდა, შილიფად ჩაცმულობისთვის ბოდიში მოიხადა, ვისადილეთ, ვისაუბრეთ. იმ დღეს კონსტანტინემ თავისი ფოტოსურათი მისახსოვრა წარწერით: „ძვირფას შორენას და გიორგის დიდის პატივისცემით". საგანგებოდ აღნიშნა, რომ სახელი შორენა მისი მოგონილია და დაამატა, თქვენ ჩემი რომანის გმირების სახელები გქვიათ.

ვფიქრობ, ასეთი დღე ღირს მოგონებად.

ზვიად გამსახურდიამ ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი დაიცვა 1973 წელს. დისერტაცია ეძღვნებოდა რუსთველოლოგიის სფეროს. ამ ფაქტის აღნიშვნა საჭიროდ მივიჩნიე ერთი გარემოების გამო. შესანიშნავმა სწავლულმა, დისერტაციის ოპონენტმა აკაკი გაწერელიამ მოითხოვა დისერტანტისთვის მიენიჭებინათ დოქტორის ხარისხი. როგორც ჩანდა,



სამეცნიერო საბჭო წინააღმდეგი არ წავიდოდა, მაგრამ დისერტანტმა ისეთი კატეგორიულობით უარყო შეთავაზება, რომ საკითხის განხილვა შეწყდა. როდესაც თვრამეტი წლის შემდეგ 1991 წელს, უკვე მრავალი შრომის ავტორს რუსთველოლოგიის, ესთეტიკის, კულტურის ისტორიის, საზღვარგარეთის ლიტერატურის და სხვა დარგებში დოქტორის სამეცნიერო ხარისხი დაუცველად მიანიჭა ლიტერატურის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ, გამსახურდიას მტრებმა ეს მოვლენა ლამის საუკუნის დანაშაულად გამოაცხადეს და პრეზიდენტის ცილისწამების საშუალებად გამოიყენეს. მაგრამ რა? „არსებობს ცილისწამებაზე უფრო ძლიერი იარაღი, ჭეშმარიტება", ჭეშმარიტება კი ის არის, რომ გამსახურდია, სხვათა შორის, ნამდვილად, ყველასგან ანგარიშგასაწევი მეცნიერიც იყო. თუ ვირწმუნებთ, რომ, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერება აზროვნების ხელოვნებაა, მაშინ ჩემი აზრის დასადასტურებლად საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც „საქართველოს სულიერი მისსია" (ეს წიგნი ზვიადმა ასეთი წარწერით მისახსოვრა: **ძვირფას ჰასანს და შორენას,**

დიდის პატივისცემით
ზვიად გამსახურდია.
1990. 25. XI

ვსხედვართ მუხრან მაჭავარიანის კაბინეტში (იმ დროისთვის მუხრანი ჟურნალ „დილის" რედაქტორი იყო) მე და ზვიადი (მუხრანი სტამბაში წავიდა). ზვიადი „კითხულობს" გრძელ მონოლოგს, ლაპარაკობს უზარმაზარი იმპერიის დამხობის აუცილებლობაზე, თავისუფალი საქართველოს დაბადების თაობაზე.

ლაპარაკობს გზნებით, რწმენით, პათოსით, ვუსმენ ლამაზ „ზღაპარს", არის ლოგიკა მის მტკიცებაში და მაინც არ მჯერა, მატყობს ზვიადი უნდობლობას, ცდილობს ჩემს მოქცევას, მაგრამ ეს უფრო ძნელია, ვიდრე იმპერიის დანგრევა. ეჰ, რწმენაა მთავარი, ამოიოხრა ზვიადმა. ვპასუხობ, რომ ვერანაირად ვერ ვირწმუნებ იმპერიის დანგრევას. ზვიადი იმოწმებს ნეტარ ავგუსტინეს: „რწმენა სხვა არაფერია, გარდა იმისა, რომ ჭეშმარიტებად მიიჩნიო ის, რასაც ვერ ხედავ".

არ შემეძლო ზვიადთან კამათი, ჩემი ნაცნობებიდან მხოლოდ ის იყო ერთადერთი კაცი, ვისი განსწავლულობაც მასთან კამათის ხალისს მართმევდა. დაძაბული ვიყავი, მეშინოდა დიდი „მკრეხელობისა": რა დაანგრევს ამ უზარმაზარ იმპერიას? ის შესანიშნავად ხედავდა მომავალს, თურმე მოსული იყო დრო და ზვიადს სჯეროდა: „როცა მოვა საქმე ზენა, მომავალი არ აგცდების".

კარგა ხანს ვისაუბრეთ. მუხრანიც მოვიდა, წასასვლელად ვემზადებოდით, რომ ფოტოაპარატით ხელში, ჩემთვის უცნობი კაცი შემოვიდა, ამათ ვის ვხედავ, ვერ შეველევი კორესპონდენტისთვის ასეთ ძვირფას მასალას (გასაგებია, რასაც გულისხმობდა). დაფაცურდა და სასწრაფოდ სურათი გადაგვიღო (შემდეგ შევიტყვე, ეს პიროვნება ჟურნალისტი ხერხეულიძე იყო).

მე და ზვიადი რედაქციიდან ერთად გამოვედით, რაღაც უნდა მოგცე, მითხრა ზვიადმა. მისი მანქანა, როგორღაც მოფარებულში იდგა, ჩავსხედით. სავარძლის ქვეშიდან გაზეთში გახვეული გამოიღო, მომცა, მითხრა, წაიკითხე და შენთან იყოსო. ზვიადის გამოცემული არალეგალური, დისიდენტური ჟურნალი „ოქროს საწმისი" აღმოჩნდა. ახლა ეს ძვირფასი სახსოვარი აღარა მაქვს, როდესაც ზვიადი დაიჭირეს, ძალზე შემეშინდა და სასწრაფოდ დავწვი. შემეძლო ეს არ გამემხილა, მაგრამ მუდამ მახსოვს სენტენცია: „ვინც თავისი საქციელით უკმაყოფილოა, კეთილ გზას ადგას და შეუძლია ცოდვათა მონანიების იმედი ჰქონდეს". და მაინც მხოლოდ ამიტომ არ მიღიარებია ჩემი სიმხდალე. უნივერსიტეტის წინ ვდგავარ, „კოლხოზნიკი" გაჩერდა. ზვიადი გადმოვიდა, მომიკითხა, დაინტერესდა, დრო თუ მქონდა და მთხოვა არაგვის ხეობაში წავყოლოდი ბოდორნის ეკლესიის სანახავად, პირველად მესმოდა ასეთი ეკლესიის შესახებ. უტაქტობად მივიჩნიე მეკითხა, რატომ აინტერესებდა მაინცდამაინც ის ეკლესია. ავტომობილში ჩავსხედით. როცა არაგვის ულამაზესი ხეობა დაიწყო, ზვიადმა გაიხარა, სავსე იყო აღფრთოვანებითა და სიყვარულით. ეკლესიის ეზოში ქვაზე იჯდა და დიდხანს, ძალიან დიდხანს უბის წიგნაკში რაღაცას იწერდა. მერე კმაყოფილი სახით ერთხელ კიდევ შეავლო თვალი, გარს შემოუარა და პირჯვრის წერით დაემშვიდობა, ჩემი აზრით, არაფრით გამორჩეულ პატარა ძეგლს. ამაოდ ველოდებოდი, არაფერი უთქვამს ზვიადს, და დღემდე არ ვიცი, რით დააინტერესა მიკარგულში მდებარე მომცრო ბაზილიკამ. ვსხდვართ ახლა ჭოპორტის გადასახვევთან მდებარე რესტორნის ეზოში, თხილის წნელით მოქარგულ „გალიაში". ანათებს გრაფინიდან ჭოპორტული საფერავი, ვსაუბრობთ საქართველოზე, სიყვარულზე, პოეზიაზე, არაგვზე, მთებზე, რომლებიც თავს გვადგანან.

(დასასრული იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 118.

ინფორმაცია

პოლიცია

„ჩადების" პრაქტიკა გრძელდება

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო ზედამხედველობის საბჭოს" წარმომადგენელთა მტკიცებით, პოლიციის ორგანოებში მოქალაქეთათვის ფულის გამოძალვის მიზნით ნარკოტიკული ნივთიერებების „ჩადების" პრაქტიკა გრძელდება.

გუშინ სახალხო დამცველის ოფისში გამართულ სპეციალურ პრესკონფერენციაზე იმ სამართალდამცველთა გვარები დაასახელეს, რომლებიც, მათი თქმით, ნარკოტიკების უკანონო ჩადებასა და მოხმარებაში არიან შემჩნეულები.

„სამოქალაქო ზედამხედველობის საბჭოს" წარმომადგენელთა მონაცემებით, ამ საქმიანობით დაკავებულნი არიან თბილისის პოლიციის სამმართველოს თანამშრომლები: ბუზალაძე, გაფრინდაშვილი, სართანია, გვასალია, კაკაურიძე და სამარღანიშვილი.

აფეთქების მცდელობა

ავჭალის სადგურთან ახლოს, სარკინიგზო ხიდთან, გუშინწინ ღამით ასაფეთქებელი ნივთიერება „ტროტილი" აღმოაჩინეს. განნაღმვითი სამუშაოები გუშინ დილით დასრულდა. ასაფეთქებელი მოწყობილობა მომზადებული იყო მოქმედებაში მოსაყვანად.

როგორც „ინტერ-პრესს" უშიშროების სამინისტროში განუცხადეს, 800 გრამამდე „ტროტილი" ხიდზე იყო დამონტაჟებული. უშიშროების სამსახურში ნაღმის არსებობის შესახებ ოპერატიული ინფორმაცია ღამის 02.00 საათზე შევიდა. ბრალდება სამი ეჭვმიტანილი ჰყავს. უშიშროების სამსახური მათ დაკავებას უახლოეს ხანში იმედოვნებს.

კოლეგები

კვლავ „საქინფორმის" პრობლემები...

პარლამენტარი ელენე თევდორაძე სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო „საქინფორმში" მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტისგან საგამოძიებო კომისიის შექმნას მოითხოვს.

„გარდა იმისა, რომ „საქინფორმის" ჟურნალისტების მიმართ კანონი ირღვევა, ფინანსური მხარეცაა გასარკვევი", — აღნიშნა ელენე თევდორაძემ. მისი თქმით, საკითხი საპარლამენტო კომისიამ უნდა შეისწავლოს.

საპარლამენტო უმრავლესობა, რომლის წევრიც ელენე თევდორაძეა, მის ინიციატივას ეწინააღმდეგება და კომისიის შექმნის აუცილებლობას ვერ ხედავს.

„საქინფორმის" კოლექტივი მეორე კვირაა საპროტესტო აქციას დირექტორის კაბინეტთან მართავს.

გამოფენა

მეცხრე, საერთაშორისო

გამოფენების ცენტრ „ექსპოჯორჯიაში" გუშინ მშენებლობის, არქიტექტურის, დიზაინისა და რეკონსტრუქციის მე-9 საერთაშორისო სპეციალიზებული გამოფენა გაიხსნა.

გამოფენაზე 15 ქვეყნის 48 კომპანია და ორგანიზაციაა წარმოდგენილი. საქართველოს გარდა, გამოფენაში მონაწილეობენ აშშ, ავსტრია, ბელგია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, იტალია, პოლონეთი, რუსეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, ტაივანი, შვეიცარია და ჩინეთი.

გამოფენაზე წარმოდგენილია განათების სისტემები, გათბობა-კონდენცირების ახალი ტექნოლოგიები, მოსაპირკეთებელი მასალები, სამშენებლო ავტომანქანები, ევროპული ავეჯი და სხვა სახის პროდუქცია.

წარმატება

ქართული ღვინის ტრიუმფი

ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კომპანია „GVS" ლონდონის ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენაზე დაჯილდოვდა.

18-20 მაისს ლონდონში გამართულ ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო 24-ე გამოფენის ფარგლებში ჩატარებულ დეგუსტაცია-კონკურსში კომპანიის ღვინოებმა 4 ხარისხის დიპლომი მიიღეს.

მათ შორის „თამადას" ასორტიმენტიდან — „თამადა საფერავმა" და „თამადა მუკუზანმა", ხოლო „ძველი თბილისის" ასორტიმენტიდან — „ძველმა თბილისმა" (თეთრი, მშრალი) და „ძველმა თბილისმა" (წითელი, მშრალი).

გარდა ამისა, გამოფენის მიმდინარეობისას მიღწეულ იქნა შეთანხმება ბრიტანული სუპერმარკეტების ქსელის წარმომადგენელთან „სეინსბერისთან" 2004 წლის შემოდგომიდან ქართული პროდუქციის დისტრიბუციასთან დაკავშირებით.

ინტერ-პრესი.

მომსახურება

„გადაიხდის ის, ვისაც დავალიანება აქვს"

„თბილგაზში" ვითარების გაკონტროლებას ცდილობენ

„თბილგაზის" ირგვლივ ვნებათაღელვა არ წყდება. რედაქციაში ხშირად რეკავენ, ან პირადად მოდიან მოქალაქეები და თავიანთ გულისტკივილს თუ აღშფოთებას გვიზიარებენ. განსაკუთრებით გამწვავდა ვითარება „ვარდების რევოლუციის" შემდეგ, როცა ქვეყნის სათავეში ახალი ხელისუფლება მოვიდა. ქალაქისთვის ბევრ სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტში გამოვლინდა დარღვევები, წლების მანძილზე ფეხს რომ იკიდებდა. გამონაკლისი არც „თბილგაზი" ყოფილა. იქ მასობრივად დაიწყეს ინკასატორთა დათხოვნა, ვინაიდან ბევრი მათგანი დანაშაულებრივ ალიანსში შედიოდა მომხმარებლებთან და ათასგვარი მაქინაციით აყალბებდა საანგარისწორებო ქვითრებს, ხელოვნურად ამცირებდა მოხმარებული გაზის რაოდენობას და ამოღებული გადასახადის ნაწილს იჯიბავდა. „ჭირმა თავი არ დამალა", ყველაფერი გამოაშკარავდა. ახლა მოქალაქეთა ერთი ნაწილი აცხადებს, რომ „თბილგაზი" მათგან იმ განსხვავების დაფარვას მოითხოვს.

საკითხის გასარკვევად სს „თბილგაზში" მისულს ასეთი სურათი დამხვდა: შესასვლელში ხალხმრავლობა იყო და დაცვის მუშაკებს წესრიგის დასაცავად დიდი ჯაფა ადგათ. ვინ ძველი დავალიანების დასაფარავად მოსულიყო, ვინ — სადავო საკითხის გადასაწყვეტად. „ეს რა არის, სხვა დღეებში უარესიც ხდებოდა. ერთი ყოფილი გამგებლის ოჯახში გაზის მრიცხველიდან ლურსმანი ამოვიღეთ, ის კი უსინდისოდ ამტკიცებდა, პატიოსანი გადამხდელი ვარო. ეს წუთია, წავიდა საკმაოდ დიდი თანამდებობის პირი. მრიცხველი ჰქონდა მექანიკურად დაზიანებული და აქეთ გვადანაშაულებდა. დღე ერთია და, ასეთი გადაბრალება — ათასი. რა თქმა უნდა, ჩვენი მუშაკებიც ხშირად სცოდავდნენ. ინკასატორ ჯობაძის საქმეს პროკურატურა იძიებს. მალე ჯობაძის ბედს სხვებიც გაიზიარებენ, სხვანაირად წესრიგს ვერ დავამყარებთ", — მითხრა სს „თბილგაზის" გენერალური დირექტორის მოადგილემ დისტრიბუციისა და მარკეტინგის დარგში ლევან ფურცელაძემ. მას არც ის დაუმალავს, რომ აქ მუშაობის ექვსი თვის მანძილზე უამრავი დარღვევა გამოავლინა, რომ ისინი, ვინც უკანონო შემოსავალი დაკარგა, პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით ებრძვის და მუშაობაში ხელს უშლის.

ეს ინერციის კანონია. ადგილიდან დაძრულ საგანს თუ წინააღმდეგობა არ შეხვდა, კიდევ დიდხანს იმოძრავებს და გზად რაც შეხვდება, უსათუოდ წალეკავს. ასეთ წინააღმდეგობას ახალი ხედვის ადამიანები წარმოადგენენ და, რა თქმა უნდა, ინერცია რომ შეაჩერონ, ხშირად დარტყმებს საკუთარ თავზე იღებენ.

როგორც ბატონი ლევანი ბრძანებს, „თბილგაზს" მრიცხველების გარეთ გამოტანის საშუალება არა აქვს — ამას უზარმაზარი სახსრები სჭირდება. სამაგიეროდ, დიდუბე-ჩუღურეთში უკვე შეუდგნენ მრიცხველების ყუთებში ჩასმას. ეს სამუშაოები თანდათანობით ქალაქის სხვა რაიონებშიც გაგრძელდება. ორიოდე კვირაში ამოქმედდება საჯარიმო სანქციები. საინტერესო მეთოდი დანერგეს უკრაინაში: დამრღვევს გაზს რომ ჩაუჭრიან, მის ჩართვას ერთი თვე უნდა ელოდონ. არ ვიცი, ჩვენთან ეს წესი როგორ „იმუშავებს", მაგრამ იქნებ მაინც გვეცადა? არა მგონია, ბევრს ჭკუა არ ასწავლოს.

— მარტო უკრაინელების „გამოცდილების" იმედად ნაღდად ვერ ვიქნებით, რაღაც უფრო ეფექტური უნდა მოვიგონოთ რამე, — ნახევრად ხუმრობით, ნახევრად სერიოზულად ვეუბნები ბატონ ლევანს.

— მერე, ვინ გითხრათ, რომ არაფერს ვაკეთებთ? მოსკოვის პროსპექტის მე-11-13 კორპუსებში უკვე დავაყენეთ ქართული წარმოების ციფრული მრიცხველები, სულ 80 ცალი. შესამოწმებლად ბინაში შესვლა საჭირო აღარ არის — გარეთ „შავი ყუთი" დგას და საჭირო ინფორმაციას დახარჯული გაზის შესახებ იქიდან ვიღებთ. როცა ინკასატორთა არაკეთილსინდისიერების ფაქტები ვამხილეთ, „წამკითხველების" ინსტიტუტი შევქმენით. მათი მოვალეობა მრიცხველის ჩვენების აღრიცხვაა. დადგება დრო და ისინიც აღარ დაგვჭირდებიან. დიღომში დავნერგეთ ე. წ. „დარგოლვა" — საერთო მრიცხველი გვიდგას. ის მრიცხველი აღნუსხავს რაიონში გახარჯული გაზის რაოდენობას, ამიტომ მაშინვე საჩინო ხდება, რამდენად რეალურია ამოღებული თანხის შესაბამისობა. რა თქმა უნდა, დამნაშავის დადგენაც გაიოლდება.

— თქვენ ზემოთ საჯარიმო სანქციები ახსენეთ. რა, აქამდე დამნაშავეებს არ აჯარიმებდით?

— წარმოიდგინეთ, რომ არა. აი, თელასმა გამოსავალი მოძებნა. გამორთული მრიცხველი ხელახლა რომ ჩაირთოს, მოქალაქემ დამატებით ორი ლარი უნდა გადაიხადოს. რაღაც ამგვარი სანქციის შემოღება არც ჩვენ გვაწყენდა.

— მოდით, ისევ ინკასატორებს დავუბრუნდეთ. როგორ ახერხებდნენ, ერთი მხრივ, მოქალაქეებისა და, მეორე მხრივ, სახელმწიფოს მოტყუებას? აბონენტს ქვითარს ხომ უტოვებდნენ?

— ის ქვითარი ორ ცალად იწერებოდა. პირველში ზუსტად უთითებდნენ მოხმარებული გაზის რაოდენობასა და გადახდილ თანხას, მეორეს კი, რომელსაც „თბილგაზს" აბარებდნენ, თავისი შეხედულების მიხედვით ავსებდნენ. 56 ათასმა მომხმარებელმა განცხადებით უკვე მოგვმართა, გაფლანგულმა, ანუ მითვისებულმა თანხამ კი მილიონს გადააჭარბა.

— ამბობენ, განსხვავებას ისევ აბონენტს ახდევინებენო.

— სიყალბეა. არც ერთ აბონემენტს ხელმეორედ ერთ თეთრსაც არ გადავახდევინებთ. გადაიხდის მხოლოდ ის, ვისაც დავალიანება აქვს, ვისაც მოხმარებული გაზის საფასური საერთოდ არ გადაუხდია. წარმოადგინონ, ბატონო, ქვითრები და პრობლემაც მოეხსნებათ.

— ბატონო ლევან, ზოგიერთ ორგანიზაციულ და ტექნიკურ ღონისძიებაზე ინფორმაცია უკვე მივიღე. სხვა სიახლე თუ გაქვთ, რაც მუშაობის გაუმჯობესებას უზრუნველყოფს?

— როგორ არა გვაქვს. ავამოქმედეთ „ცხელი ხაზი", დავნერგეთ კომპიუტერული სისტემა, რომელმაც ორი წლის წინანდელი დარღვევებიც კი გამოააშკარავა. ახალი პროგრამა იმის საშუალებას იძლევა, რომ ოპერატიულად გავაკონტროლოთ სიტუაცია. რაღაც წამებში შეიძლება მონაცემების მიღება, სად, რომელ რაიონში როგორია ხარჯვა და დანახარჯის ამოღება. უკვე გამოიკვეთა დადებითი ტენდენციები. ამონაგების მაჩვენებელი მზარდია. თუ იყო 100-150 ათასი, ახლა 180-190 ათასი ლარია. ნუცუბიძეზე 280-მილიმეტრიანი მილი იდება და ორი გამაძლიერებელი იდგმება, სამუშაოები მალე დასრულდება და მიკრორაიონები ზამთარ-ზაფხულ საჭირო რაოდენობის გაზს შეუფერხებლად მიიღებენ. პროგრამა, ზემოთ რომ მოგახსენეთ, 96 ათასი ლარი დაგვიჯდა. ასეთი პროგრამის დანერგვაზე კი „ეი-ი-ესმა" მილიონები დახარჯა. ყველაფერი ეს საკუთარი ძალებით განვახორციელეთ.

— რა სახსრებით აკეთებთ ამას?

— ცენტრალიზებულმა ბიუჯეტმა სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის ერთი მილიონი ლარი გამოგვიყო. ეს საკმარისი არ არის, მაგრამ ქალაქი აშკარა შვებას იგრძნობს. რაც ბოლო 10-15 წლის მანძილზე ინგრეოდა, თანდათან წესრიგში მოგვყავს.

სს „თბილგაზიდან" სხვა მონაცემებიც წამოვიღე. მიუხედავად ერთგვარი პროგრესისა, ფინანსური მაჩვენებლები მაინც მძიმეა. **ქალაქის მერიის გადაწყვეტილებით ომის ვეტერანებს, პენსიონერებს, სოციალურად დაუცველ სხვა მოქალაქეებს გაზის მოხმარე-**

ბაში გაეწიათ 3692 ათასი ლარის შეღავათი, თანხა კი „თბილგაზს" დღემდე არ მიუღია. ამას ემატება ე. წ. „ვაუჩერების პროგრამის" 754 ათასი ლარი, რომლის გადახდაც, აგრეთვე, მერიას ეკუთვნის. ცენტრალურ ბიუჯეტს „თბილგაზისა" 800 ათასი ლარი მართებს.

„თბილგაზი" წლების მანძილზე მერიის დოტაციაზე იყო, ვინაიდან მოსახლეობიდან თანხების ამოღება ვერ ხერხდებოდა. დოტაცია 40-50 მილიონს უდრიდა. შარშან მერიამ გადაიხადა 34 მილიონი ლარი. თავის მხრივ „თბილგაზი" მერიისგან სამი წლის მანძილზე ეტაპობრივად 15-15 მილიონს ითხოვდა, სანაცვლოდ ჰპირდებოდა, რომ ვალის ამოწურვის შემდეგ მთლიანად აღადგენდა მეურნეობას, მოგებაზე გადავიდოდა და თავის პრობლემებს მთლიანად თვითონ მიხედავდა. შარშან მერიამ ამ 15 მილიონის ანგარიშში მხოლოდ 3400 ათასი ლარის გამოყოფა შეძლო გრაფიკით გათვალისწინებული 5 მილიონის სანაცვლოდ. მერიას, ალბათ, თავისი არგუმენტები ექნება, თუმცა, ერთი არაკისა არ იყოს, „გადახდა უნდა ვალსაო".

იქნება თუ არა პანაცეა ზემოთ მოხმობილი ღონისძიებები „თბილგაზისთვის", ამას მომავალი გვიჩვენებს. ყოველ შემთხვევაში, ქალაქის მოსახლეობა უკეთესობის მოლოდინშია.

ელგუჯა ლებანიძე.

საქართველოს რესპუბლიკა

№ 119, ოთხშაბათი, 26 მაისი, 2004 წელი.

ჩვენი პუბლიკაცია

დამოუკიდებლობის სიხარული და მოღალატე ქართველი

დავით თურდოსპირელის ჩანაწერები

დავით თურდოსპირელი — ეს მწერლის და ცნობილი პედაგოგის დავით ჩხეიძის ფსევდონიმია. იგი ჯერ მეფის მთავრობას ებრძოდა, მერე — კომუნისტურ ხელისუფლებას. რევოლუციური მოღვაწეობა კიევის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე სწავლის დროს დაიწყო (1911-1915). დავით თურდოსპირელი იყო ეგნატე ნინოშვილის სახელობის რევოლუციურ-ლიტერატურული წრის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი, რომელმაც გარკვეული როლი ითამაშა მაშინდელი ახალგაზრდობის გათვითცნობიერებაში.

თურდოსპირელი საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი იყო და 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტზეც მოაწერა ხელი. პრესაში ხშირად ქვეყნდებოდა მისი პატრიოტულ-პუბლიცისტური წერილები, ესსეები, ჩანახატები. ვფიქრობთ, მკითხველს დღესაც დააინტერესებს მისი ჩანაწერები. „კოცნათა ციხე-ბურჯები“ 1920 წლის 12 იანვარს დაიბეჭდა გაზეთ „ერთობაში“.

კოცნათა ციხე-ბურჯები

ჩემო კარგო ქვეყანავ, ნუღარ მოგიწყენია!..

ადრევ მეგონა: მით უკეთესია, რაც უფრო განუხორციელებელია ოცნება მეთქი. ასე ალბათ იმიტომ ვფიქრობდი, რომ ამ ოცნების ლაჟვარდოვან თვალებში ისე გრძნებით არ ჩამეხედა მხოლოდ შორიდან მოტრფიალეს, მართალია ამ ბოლო დროს ბედნიერი წუთები ბევრი გველირსა. მარტო „მთავრობაძის გასვენება“ რათა ღირდა, ანდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, მისი წლისთავის დღესასწაული... მაგრამ მაინც ყოველთვის რაღაცა აკლდა ლხინსა და ნიშატობას.

არც თავისუფლების ყვავილები, არც დამოუკიდებლობის სურნელება, არც სხვა „ობა“ არ იყო ისეთი, რომ გვეთქვა: „ეს არის, რასაც ვეძებდით, მოვრჩეთ და გავიხაროთო“.

დღეს კი ანაზდეულად მოგვიახლოვდა მხოლოდ ზღაპრებში ზმანებული უმშვენიერესი კეკლუცი არსება, გადაგვიწია თავი და ტუჩებზე დაგვეკონა.

მგოსნების სიყვარული ხომ იცით რა დამწველია. მიუხედავად ამისა, მთელი ქვეყნის მგოსნების ის პირველი ტრფობის პირველი ამბორნიც რომ შეაერთოთ, — ისეთი დამათრობელი მაინც არ იქნება, როგორიც იყო კოცნა გუშინდელ კეკლუცისა.

იცით ვინ იყო მშვენიერი არსება? — საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება. აი მისი სახელი. იგი ელვაზე უსწრაფესი აღმოჩნდა... აღმოსავლეთის მიჯნურსავით შმაგად მოიჭრა იგი: ქარხნებსა და ყაზარმებში, დაწესებულებებსა და ქოხმახებში და ეშხიანად გადაჰკოცნა თავისი ტრფიალნი...

განა უბადრუკ აშიყ-მაშიყთა ხვევნა და მტლაშა-მტლუშს შეეძლო ასეთი წმინდა და ფაქიზ რამის გამოგონება, როგორიცაა კოცნა ღვთიური?

გუშინ მივხვდი, რომ მხოლოდ დიად სიყვარულს შესძლებია ასეთი კოცნა.

კაცობრიობას რომ დღემდე არც კი სცოდნოდა კოცნა — გუშინ უეჭველად გამოიგონებდა. გუშინ მთელი თფილისი ერთი გრძნობით ახმატკბილებულიყო და ჰკოცნიდა... ჰკოცნიდა ყველას გატაცებით... გაგიჟებით.

მრავალ ჟამის განმავლობაში ძაძამოსილს, გეთსიმანიის ბაღად გადაქცეულს საქართველოს მგონია იმდენი ცრემლი არა სდენია სიმწრისა, რამდენიც გადიშალა გუშინ კოცნის ყვავილები.

მტერი რაღა იქნა, ჩვენი დაუძინებელი მტერი?.. ის დაძრწოდა გუშინ და ეძებდა თოკს თავის ჩამოსახრჩობად, მაგრამ არავის ჰსურდა თოკის გაუწმინდურება და იყო იმ სამარცხვინო ყოფაში...

არა ერთი სახელმწიფო საუკუნეთა ქარავნის დენაში ისე იბადება და ისპობა, რომ ერთი რა არის, ერთხელაც არ ჰღირსებია ისეთი წამი, როგორსაც გუშინ ჩვენ განვიცდიდით.

უბადლო მჭერმეტყველნი დემოსთენი, ისოკრატი და ციცერონიც რომ წარმომდგარიყვნენ სამარედან — ისინიც კი ვერ შესძლებდნენ ჩვენი აღტაცების გამოთქმას.

კოცნა, მხოლოდ კოცნა მეტყველებდა გუშინ უბადლოდ და განუმეორებლად.

კოცნათაგან შენდებოდა ის ციხე-ბურჯები, რომელნიც უკუაქცევს წასალეკად მოღვართქავებულს რეაქციის ზღვას. მხიარულ შუშხუნებად ბრწყინავდა და ფეთქდა გულები მოქალაქეთა, რომელნიც მზად არიან ათასჯერაც კი შეეწირონ თავისუფალ საქართველოს, თუ კი ეს საჭირო და შესაძლებელი იქნება.

ვუყურებდი გუშინ ჩვენს ლიტანიობას და ნება უნებლიეთ მომაგონდა საქართველოს შავბნელ დროის მმართველი ლიტვინოვი, რომელიც ისე გაკადნიერდა, ისე შეაგინა ჩვენი ერის ღირსებანი, რომ რუსთა ხელმწიფეს სწერდა: საქართველოსთვის სამშობლოს სიყვარული უცხო რამ არის, მამულის სახელიც კი არ იპოვება ქართულს ენაშიო.

კარგი იქნებოდა ამოეხედნა გუშინ სამარიდან და მოეკრა თვალი საქართველოს ღრეობისათვის, რომ შურითა და ბოღმით პირქვე გადაბრუნებულიყვნენ მისი ძვლები.

ზიმზიმებდა გუშინ თფილისი მოზღვავებულ ხალხისაგან და აღტაცებით შეჰყურებდა სასახლის სარკმელს, საიდანაც მორჭმით გადმოგვცქეროდა ჩვენი დიდი ნოე...

ძველად, ქრისტიანობის გარიჟრაჟისას კონსტანტინე მეფეს გამოესახა ცაზე ცეცხლის ჯვარი და მოესმა იდუმალი ხმა: ამით იმარჯვებდეო.

საქართველოს ცეცხლის ჯვარი და წმინდა სიმბოლო — ნოე ჟორდანიაა.

ბრძნული ხმა ჩაგვძახის: მის მეთაურობით იბრძოლეთ! მიგვიძღვის ჩვენ იგი წინ და ვიმარჯვებთ კიდეც. გუშინდელი დღეც სწორედ ამ გამარჯვების ნაყოფია.

აუარებელ, უანგარიშო მებრძოლებმა მოწამებრივ ტანჯვის შემდეგ სიკვდილის ძილს იმიტომ მისცეს უდრტვინველად თავი, რომ ეს მომხიბლავი ამბავი სიზმრად ენახათ და ეანდერძათ ჩვენთვის.

ფრთხილად, ფრთხილად საყვარელო ხალხო! გუშინდელი ბედნიერება „ლურჯ ჩიტსავით“ სათუთი და იშვიათია... ფრთხილად... არ გაგისხლტეს ხელიდან... აღარ ამოგიღამდეს ნეტარებით გაბრწყინებული თვალები...

* * *

1920 წელს დაწერილ ჩანახატში „გეთსიმანიის ცოდვა“ დავით თურდოსპირელმა გამოსახა ბოლშევიკთა მიერ საქართველოს დაპყრობის ერთ-ერთი ინიციატორი სერგო ორჯონიკიძე. მწარალი სამშობლოს ღალატს ადარებს იუდას მიერ ქრისტეს გაყიდვას გეთსიმანიის ბაღში.

გეთსიმანიის ცოდვა

— სერგო! — აღტაცებით წამოვიძახე, როდესაც დამიპირისპირდა ძველისძველი, დიდი ხნის უნახავი მეგობარი და მოსახვევად გავუწოდე ხელი.

სერგომ მიცნო, მაგრამ ჩემსავით არ დასტყობია აღელვება, უნდილად გამიღიმა და რაკი ტუჩები უკვე მიახლოვებული მქონდა საკოცნელად, უხერხულობაში რომ არ ჩავარდნილიყო, გადამეხვია.

ნაძალადევი იყო მისალმება, ცივი იყო მისი კოცნა.

გამაკვირვა ასეთ შეხვედრამ; შემოდგომის ყინულიანი ნისლი მტანჯავ სიზმრად რომ განეწოდება ხოლმე მოშუშულს მდელოს, ისე სულის შემაღონებლად შემომეხვივნენ ნაღვლიანი ფიქრები.

რა დამართნია, რას გამოუფიტავს მისი გრძნობა? რას გამოურეცხია მისი გული?

მომაგონდა ჩვენი ყრმობა. ბავშვობისას დავმეგობრდით, ჯერ ისევ პატარები ვიყავით, მაგრამ შეძლებისდაგვარად შეგვქონდა წვლილი განმათავისუფლებელ მოძრაობაში. გადაგვგადმოგვქონდა არალეგალური ლიტერატურა. ფურცლებს ვავრცელებდით ხალხში, ვჭაბუკდებოდით და უფრო იზრდებოდა ჩვენში სიყვარული თავისუფლებისადმი, სამშობლოს კირთებიც გვალონებდა და მის აღორძინებაზე გვაოცნებებდა.

შავ-რეაქციის დევნამ ერთმანეთს დაგვაშორა, სერგო დავკარგე მხედველობიდან, კარგა ხანს არა მესმოდა რა მისი ავან-ჩავანისა. ვწუხდი, რომ იგი არ იმყოფებოდა განთავისუფლებულს საქართველოში, როცა მას ასე ეჭირვებოდა მებრძოლები. ბოლშევიკებს თუ ჩაუვარდათ ტყვედ-მეთქი, ვფიქრობდი და სიხარულით ცას ვეწიე, როცა სერგო ვიხილე საქართველოში დაბრუნებული.

ასე მოუთმენლად მოველოდი და რას მივაწერო ეს გახუნებული შეხვედრა. მახსოვს სერგოს ღრმად მეტყველი თვალები ჰქონდა. მარად ცეცხლის ნაპერწკლები დაჰფრთოდნენ შიგან. ჩავხედავ ამ თვალებში, არას დამიმალავენ, ყველაფერს გამიმჟღავნებენ...

ჩავაცქერდი, მაგრამ ამიერიდან, გამექცნენ მისი თვალები, დამფრთხალი ბელურებივით დაიწყეს აქეთ-იქით ხტომა. როგორც იყო მოვასწარი, დავიჭირე მისი მზერა და ვეღარ დავინახე მის თვალებში ძველებური სიკამკამე, ნათელ აზრთა მეტყველება, გულწრფელობა, მიამიტობა. ამღვრეულიყვნენ, თაღლით ზრახვებს დაელექნათ მის ფსკერში.

— სერგო! — მძიმე ამოოხვრით შევეკითხე, — რა დაგმართნია კაცო, რამ გამოგცვალა ასე უცნაურად? სად იყავი, რა იმედებით დაგვიბრუნდი? ხომ აგვიხდა ყრმობის ნატვრა, საქართველოში განვამტკიცეთ დემოკრატიული წყობილება. ახლა შენ იცი და შენმა კაცობამ, რა სამსახურსაც გაუწევ საქართველოს.

— როგორა? საქართველოსო? ხა, ხა, ხა... ნაციონალ-რეაქციონერთა საქართველოს როგორ დავეხმარები, ან რა ჩამოვუტანე? არ დაგიმალავ, მართალია ახლა შენ რენეგატი გამხდარხარ და სოციალ-გამყიდავთა რესპუბლიკის განმტკიცებას შესდგომიხარ, მაგრამ ბავშვობის მეგობრობა არ მოგცემს ნებას გამცე, გეტყვი დაუფარავად. საქართველოს მე ჩამოვუტანე რუსეთიდან ნაღმი. მალე ავაფეთქებთ თქვენს სამშობლოს, გავაცამტვერებთ... მთელს რესპუბლიკას ჩვენ გადავაქცევთ სასაკლაოდ და მის აკლდამებზე ავაფრიალებთ საბჭოთა რუსეთის დროშას.

მე შევკრთი, კაეშნის ნისლი ჩამომაწვა მძიმედ, მისი ქადილისა კი არ შემეშინდა. მისთანებისთვის ბევრჯერ გაგვიცრუებია იმედები და ახლაც გავუხუნებთ ღილას. მე შევწუხდი იმიტომ, რომ ასე უხამსად მელაპარაკებოდა მეგობარი, ღვიძლ ძმასავით საყვარელს. არა, ეს არ იყო სერგო, აღარ იყო მეგობარი, უეცრივ გაჰქრა, ამოიფხიკა კიდეც იგი ჩემი გულიდან. მე მეგონა მის ნაცვლად ჩემს წინ აყუდებულიყო თავ-ჩამოხრჩობილი გამცემის გვამი და ის მიყურებდა თვალებგადმოკარკლული...

— მოღალატე, გამცემი, მოღალატე, — ვშფოთავდი მე, მაგრამ ენა არ მემორჩილებოდა, ვერ ამოთქვამდა ამ საშინელ სიტყვებს.

სერგომ იგრძნო, რომ მთელი ჩემი არსება თრთოდა მისდამი უზომო სიძულვილით... ყოველი წვეთი ჩემის სისხლისა ამბოხებულიყო მის წინააღმდეგ და რომ განკითხვის დღე არ დამეყენებინა მისთვის, იძულებული შეიქნა გამშორებოდა.

— მოღალატევ, სამშობლოს მოღალატევ! — უსაზღვრო აღშფოთებით აცილებდა მას ჩემი გულის დაგადუგი...

სადგურზე ვიყავი, ბაქოსკენ მიმავალ მატარებლის გასვლას 5 წუთიღა აკლდა. მეორე კლასის დარბაზიდან ფეხმარდად გამოვიდა ერთი ყმაწვილი, — „სერგო“, — გავიფიქრე და თვალი მინდოდა ამერიდებინა, მაგრამ იგი მოვიდა და სალამმოუცემლად მითხრა:

დავით თურდოსპირელი გასული საუკუნის 20-იან წლებში.

— საუბედუროდ არ დამცალდა გეგმის განხორციელება. ჩემი საიდუმლო ზრახვა შეიტყო თქვენმა მთავრობამ და გამასახლა რესპუბლიკის საზღვრებიდან. მით უარესი თქვენთვის, მთლად შემძაგდა საქართველო. მივალ რუსეთს, ვგონებ უკანასკნელი უნდა იყოს ჩემი აქ ყოფნა, მაგრამ ნუ დანაღვლიანდებით, ჩემს ნაცვლად წითელ არმიელებს გამოგიგზავნით. დაღლილები არიან დენიკინთან ბრძოლაში, საქართველო იალაღად გამოადგებათ, შეისვენებენ. საქართველოს გლეხებსა და მუშებსაც გაანთავისუფლებენ ჟორდანია-რამიშვილის მიერ დადგმულ მძიმე უღლისაგან.

მესამე ზარმა ჩამორეკა. სერგო ერთერთ ვაგონს შეახტა. ოხვრა-კვნესით დაიძრა მატარებელი. განუშორებლივ ვადევნებდი თვალს ვაგონის სარკმლიდან თავგამოყოფილ სერგოს და ვამბობდი:

— რა ემართება ამ უბადრუკს? რა? ვინ, თუ არ გამყიდველი, ამხედრებულა საკუთარი ერის წინააღმდეგ. მოღალატის მეტს ვის გაუცვლია სამშობლო უცხოეთზე? როგორა სთმობს საქართველოს? უცხოეთში ძალით გადარგული უსულო მცენარეებიც კი ნაღვლობენ თავიანთ სამშობლოზე. რაც არ უნდა მოუარონ და მოეფარეზონ ახალ ქვეყნად, მაინც ვერა სძლებენ მშობლიურ მიწა-წყალს დანატრებულნი და ყვითლდებიან... სჭკნებიან... სერგო კი რას გაუუკულმართებია? რას ჩაუწვეთებია მის გულში მამულისადმი მტრობა-ბაღლამი? რა აზრი უნდა ჰქონდეს მის მხდალ არსებობას უცხოეთში? რაღად შერჩენია თვალები, თუკი იგინი შეიზიზღებენ კეკლუც საქართველოს? რისთვისღა აქვს გული, თუ ის არ იქნება აპირთავებული მშობელ ერის სიყვარულით და აღივსება სურვილით გეთსიმანიის ცოდვა დაუტრიალოს მას მგესლავი კოცნითა და მოღალატური თავდასხმით.

პუბლიკაცია მოამზადა **ნანული ზოტიკიშვილმა.**

ინფორმაცია

კრიმინალი

შემოქმედი გურიაში ყველაზე „მძიმე“ სოფელია

ოზურგეთის პოლიციამ წუხელ, ღამის 01.00 საათზე სოფელ შემოქმედის მკვიდრი ლევან იორაშვილი დააკავა. პოლიციის უფროსის გოგი კუკულაძის განცხადებით, დაკავებულს ჩხრეკისას „კოლტის“ სისტემის მაყუჩიანი იარაღი, „მაკაროვის“ 4 ვაზნა, ტყვიამფრქვევის ლულა და საბრძოლო იარაღის სხვა სათადარიგო ნაწილები აღმოაჩნდა.

კუკულაძის თქმით, პოლიცია ვარაუდობს, რომ დაკავებული აღნიშნული იარაღით სოფელ შემოქმედის კრიმინალურ დაჯგუფებებს ამარაგებდა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს ოზურგეთის საგამოძიებო განყოფილება იძიებს.

თავად დაკავებული მის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს უარყოფს.

სოფელი შემოქმედი, პოლიციის მონაცემებით, კრიმინოგენული თვალსაზრისით გურიის მხარეში ყველაზე „მძიმე“ დასახლებულ პუნქტად ითვლება.

ავარიას მსხვერპლი მოჰყვა

გუშინ, დაახლოებით 22.00 საათზე სამტრედიაში, აღმაშენებლის გამზირზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. ჯერჯერობით დაუდგენელი ფერის, მარკისა და ნომრის ავტომანქანა სავალ ნაწილზე ქვეითად მოსიარულე ადგილობრივ ლიანა შენგელიას დაეჯახა, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა.

მძღოლი მიიმალა.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება მიმდინარეობს.

ყაჩაღები მეზობლებმა დააშინეს

გუშინ, გამთენიისას, დახლოებით 05.00 საათზე ვანის რაიონში ყაჩაღობა მოხდა. გელა ჩიტორელიძის ოჯახს ხუთი დაუდგენელი ნიღბიანი პირი დაესხა თავს.

ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულმა თავდამსხმელებმა მუქარითა და ძალის გამოყენებით მხოლოდ მობილური ტელეფონის გატაცება მოასწრეს და მეზობლების ხმაურზე გაიქცნენ.

აღნიშნულ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. გამოძიებას ვანის პროკურატურა აწარმოებს.

ინტერ-პრესი.

გაცრეცილი ფურცლები მოგვითხრობენ

1919 წლის 26 მაისი — საქართველოს დამოუკიდებლობისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის წლისთავი.

ერმა, რომელმაც 117-წლიანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა გამარჯვებით დააგვირგვინა. ქართველი ხალხის ცხოვრებაში დაიწყო ახალი ერა, როცა ქვეყანამ დიდი ხნის მრავალსაუკუნოვანი ოცნება — ეროვნული სახელმწიფოებრიობა აღადგინა და დემოკრატიული რესპუბლიკა შექმნა.

როგორი ამაღლებული სულისკვეთებით ხვდებოდნენ საქართველოს მშრომელები ამ ღირსსახსოვარ თარიღს იმ დროს, გავეცნოთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1919 წლის 26 და 28 მაისის ნომრებიდან ამოკრეფილი მნიშვნელოვანი ფაქტებიდან.

26 მაისი

„ისტორია არაა შეჩვეული ასეთ ბრწყინვალე დღეებს. მრავალ საუკუნეების განმავლობაში დღე დღეს ისე მისდევს, რომ მაისობის ბრწყინვალება არ ახარებს და შარავანდედით შემკული არ არის. იშვიათია ასეთი დღე.

შურიანი ისტორია ადვილად არ უმასპინძლებდა თავისუფლებას, ძმობას და ერთობას. შავი დღეებით დათვლილია მთელი საუკუნეები და თუ სადმე გამოერევა სიყვარულის დღე — აქ ზეიმი და სიხარულია...

ჩვენი წარსული მუდმივი, განუწყვეტელი ბრძოლაა თავისუფლებისათვის, ბრძოლა შეუპოვარი, ცეცხლად შემორტყმულ ველურ მტერთან. ამ ბრძოლის სისხლიანი ხაზი მისდევს საქართველოს წარსულს. დაქანცული, სისხლდაწრეტილი ჩვენი ქვეყანა — საქართველო რუსეთს შეეფარა, მაგრამ მას არც აქ დაუსვენია, სისხლი მდინარეებად არ მოდიოდა, მაგრამ ტანჯვა-წამება ჯოჯოხეთურად გულსა და სულს სწვავდა. ამ ტანჯვაში იჭედებოდა შეგნება, თამამი მისწრაფება და ბრძოლა ახალი გზისა, ახალი საშუალებებით, განმათავისუფლებელი მოძრაობა — აი, გზა, რომელზეც მედგრად და თავდადებით მიიწევდა ქართველი ხალხი“.

ერთი წლის განმავლობაში

„26 მაისი საქართველოს მტრებისათვის და ორგულთათვის გულის მომკვლელი დღეა. ყველა მტერს შავად ახსოვს ეს დღე, მათთვის იგი არასასიამოვნო მოგონებად გადაიქცა. თავს დაგვჩხაოდნენ ჩვენს ვითომდა ღალატზე, ჩვენს უსუსურობაზე, გვიქადაგებდნენ დაღუპვას...

...ეს წელიწადი საუკუნეს უდრის თავისი შინაარსით და სიმწვავით. ელვისებური თავბრუდამხვევი სისწრაფით. ერთი მოვლენა მეორეს სცვლიდა და ითხოვდა შესაფერ პასუხს. გასაკლდევებელი ნებით, გაკაჟებული ენერგიით საქართველო ყველას პასუხს აძლევდა. მტკიცედ იდგა იგი თავისუფლების პოსტზე და იგერიებდა გარედან და შიგნიდან მოსულ მტრებს.

ბრძოლა თავდაცვისათვის, ბრძოლა ქვეყნის გადარჩენისათვის — ეს დიდი ბრძოლა იყო და ამ ბრძოლით ხასიათდება გასული წელიწადი 26 მაისიდან — 26 მაისამდე. არ შეჩერებულა ქართველი ხალხის ხელი, არ შეწყვეტილა მძიმე ბრძოლა. ამ ბრძოლიდან საქართველო ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა და ამ გამარჯვებას აგვირგვინებდა თავისუფლების დაცვა, რევოლუციის განმტკიცება“...

საქართველოს გზა

„საქართველოს დამოუკიდებლობის აქტში საქართველო აცხადებს: 1. ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა...

ეს განცხადება თავის თავისა არ ყოფილა, როგორც ბ. **ნოე ჟორდანიამ** სთქვა: აქტი შემთხვევითი, აქტი უცაბედი, აქტი მოგონილი რომელიმე პირის ჯგუფის ან პარტიის მიერ, არა, ეს აქტი იყო ისტორიული აუცილებლობისა და ხალხის გულიდან ამოხეთქილი“.

ეს აქტი იყო წარსულის დასკვნა და მომავლის ახალი სიტყვა. საქართველომ ნახა თავისი თავი და დაიწყო ისეთი ცხოვრების მოწყობა, რომელიც მრავალისათვის სანატრელია, რადგან ეს დღე ეროვნული ზეიმია.

2. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა — დემოკრატიული რესპუბლიკაა.

26 მაისის აქტის ეს ორი მუხლი საძირკველია, რომელზედაც შენდება საქართველოს ბედნიერების კოშკი...

დღეს საქართველოს დემოკრატია თავის განთავისუფლების წლისთავს ზეიმობს. დღეს შესრულდა ერთი წელი, რაც აღსდგა ერი, გახდა თავისი ბედის ბატონ-პატრონი, თეთრი ვარდობის 26.“

გრ. მაჭავარიანი.

დღევანდელი დღე

„ქართველი ერის საყვარელი, ქართველი ერის სადიდებელი, ქართველის სათაყვანებელი, წმინდა, სანეტარო, საოცნებო დღე!

არ არსებობს სიტყვები, რომლითაც შევძლებთ ამ დღის სიდიდის გამოხატვას, ვუმღერით და ვუგალობოთ მას.

თავისუფლების, დამოუკიდებლობის მზე ამობრწყინდა, ის აღარ ჩაქრება, მას ვეღარავინ ჩააქრობს. ის ჩვენია, ჩვენი! საქართველო აღსდგა და მტვრად იქცევა მისი ყველა მტერი...

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!“

ივ. გომართელი.

„დიდება“

(ქართული ეროვნული ჰიმნი — მუსიკა კ. ფოცხვერაშვილისა)

„ეროვნული ჰიმნი გამოხატულებაა, სამუსიკო ენით მთელი ერის ანუ სახელმწიფოს ზოგადად კაცობრიული მისწრაფებისა. საუკეთესო ეროვნული ჰიმნების ისტორია მოწმობს, რომ ამგვარ საგალობლებს საფუძველს უყრის ხალხის მასა, შემდეგ ამ ჩანაფიქრს შესაფერ ფორმაში აყალიბებს ხალხისვე შვილი მუსიკოსი და ჩნდება ეროვნული ჰიმნი. ჩვენში მყოფმა უცხოელებმა გერმანელებმა და ინგლისელებმა ეს ჰიმნი თავიანთ სახელმწიფოში გადაგზავნეს, ხოლო ჩვენმა დელეგატებმა იგი საზავო კონფერენციაზეც კი წაიღეს.

რა ღირსება აქვს ქართულ ეროვნულ ჰიმნს?

რიტმი, მელოდია, ჰარმონიულობა... მრავალ გამოჩენილ მუსიკოსთა აზრით ქართული ეროვნული ჰიმნი „დიდება“ საკმაოდ აკმაყოფილებს საჩვენო მოთხოვნებს...“

ქართველ მაჰმადიანთა წარმომადგენლის სიტყვა სადღესასწაულო კრებაზე.

ჰაიდარ ბეგ აბაშიძე: „ძვირფასო ძმანო! დღეს თქვენ მოძმე ქართველი მაჰმადიანები გილოცავთ მრავალტანჯულ საქართველოს დამოუკიდებლობას.

ჩვენი გული ნაღველით ივსება, როდესაც ვიგონებთ, რომ სამაჰმადიანო საქართველო დღეს თქვენთან არ არის, მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ სამაჰმადიანო საქართველო დღეს თუ არა ხვალ ჭირშიც და ლხინშიც თქვენთან იქნება.

მაშ, გაუმარჯოს დღეს ამ საქართველოს, შემდეგ კი ეროვნულ ტერიტორიულად შეკავშირებულ საქართველოს!“...

მთლიანი სანახაობა: „საზღაპრო რამ სანახაობას წარმოადგენდა ტფილისი 26 მაისს... მთელი ქალაქი ეროვნულ ალმებში და ვარდ-ყვავილებში იყო მორთულ-მოკაზმული. ხალხი მოუთმენლად ელოდა სამაისო ძმობა-ერთობის ჰიმნთა სიმების მოსმენას უწმინდეს ეკლესიიდან“...

ქუჩებში: „დილიდან მთელი ქალაქი ფეხზე დადგა, მთელი ქალაქის მცხოვრებნი გამოიშალნენ კარში...“

ჩვენი მემატიანე

თავისუფლების მოედანი: „დილის 10 საათზე უკვე დარაზმული შეხვდა ამ მთლიან სანახაობას. აქ თავი მოიყარეს ყველა კუთხის წარმომადგენლებმა. თქვენ აქ ნახავდით მთისა და ბარის, ამერ-იმერის შვილთ. თავისუფალ ხევსურთ, აბჯარ-ჩაჩქანში ჩასხმულთ. აქ იყვნენ გურულნი თავის ჩაქურაში გამოწყობილნი, მეგრელნი ჩაბალახებით, თუშები — თავის თუშური ქუდით, დარბაისელი კახელი, ამაყი ქიზიყელი, აჭარა-შავშელი, ჯავახელი, ლეჩხუმელი თუ ტფილისელი მოქალაქენი კაბა-ჩოხა-ახალუხით... თავისუფლების მოედნის მიდამოებშივე იყვნენ გაბნეულნი ჩვენი იმედი და ნუგეში მოწაფე-ახალგაზრდობა — ქალნი და ვაჟნი...“

სოლოლაკზე: „მედგარ იერიშის მომტანნი პროლეტარიატი — მთელი ტფილისის მუშათა კლასისა და ორგანიზაციების, პროფკავშირთა წარმომადგენელნი. თავისუფლების მოედნის ჩაყოლებით, ოქრომჭედლების ქუჩაზე, შეფენილ იყვნენ გარეკახეთის გლეხობა ჩარდახიან ურმებით, პუშკინის ქუჩით ჩვენი მებრძოლი ვეფხვები — თავდადებულნი სამშობლოსათვის“.

(წესრიგს იცავდა: ი. ბარათაშვილი, ი. გომართელი, თევზაძე, ჩხეიძე და სხვანი).

კამარა: „დამფუძნებელ ქუჩის თავში გადაჭიმულია დიდებული ხის კამარა, რომელსაც მთელი ქუჩა უჭირავს სახელმწიფო ღერბებითა და ალმებით. კამარა ქართულ სტილზეა აგებული. აქ თავს იყრიან ჰეროლდიკები შეერთებული 500 სულისაგან: ორკესტრი, ავტომობილები: „რევოლუცია“, „საქართველოს დამოუკიდებლობა“ და „გაზაფხული“...

სამივე ავტომობილის მოწყობაში მონაწილეობა მიუღიათ მოქანდაკე-მხატვარ ი. ნიკოლაძეს და მხატვრებს ქიქოძეს და თოიძეს. აქვე თავი მოიყარა გურულთა ხორომ, 25 მაისის ხორომ 300 კაცამდე, ცხენოსანთა რაზმმა, კავსაძის ხორომ, გაძლიერებულმა სიმებიანმა ორკესტრმა, შავარდენის გუნდმა, რომელშიც 400 სულზე მეტი შედიოდა...“

(წესრიგს იცავდნენ: უროტაძე, გიორგაძე, მაყაშვილი და სხვები).

აღლუმი. „ვიდრე აღლუმი დაიწყებოდა, სამხედრო ტაძრის გალავანში სრულიად საქართველოს კათალიკოს მოსაყდრე ლეონიდმა პარაკლისი გადაიხადა და ქართველ ლაშქარს სიტყვით მიმართა. 10 სთ 15 წთ-ზე კი პარადის გამგემ პოლკ. ბალუაშვილმა ბრძანება გასცა...

გალავანში მობრძანდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ბ. **ნოე ჟორდანია,** ბ-ნი მინისტრები, და მათი ამხანაგები, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ბ. ლომთათიძე, ქალაქის მოურავი და სხვა საზოგადო მოღვაწენი. აქ იყვნენ საქართველოში მყოფნი ყველა სახელმწიფოთა მისიების წარმომადგენელნი.

მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ შემოიარა საქართველოს ლაშქრის ნაწილები და საქართველოს ლაშქარს მიმართა:

„გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის წლისთავს. იმედი მაქვს, რომ უკანასკნელი სისხლის წვეთამდე დაიცავთ საქართველოს თავისუფლებას. გაუმარჯოს!!.

მთელმა ლაშქარმა „ვაშას“ ძახილით უპასუხა.

შემდეგ ბ. ნ. ჟორდანია საგანგებოდ ხალიჩებით დაფენილ ტახტს აბრძანდა და გარს შემოერტყნენ მთელი იქ დამსწრე საქართველოს და უცხო ქვეყნის წარმომადგენელნი. საქართველოს ლაშქარმა დაიწყო ცერემონიალური დენა მთავრობის თავმჯდომარის წინაშე. ლაშქარს სამი ორკესტრი აცილებდა... ისროდნენ შუშხუნებს, იტალიის მისიის წარმომადგენლები იღებდნენ სურათებს...

სამხედრო ტაძრის გალავნიდან მთავრობის თავმჯდომარე გაემართა თავისუფლების მოედნისაკენ...

ბ. ნოე ჟორდანიამ შემოიარა საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსული დელეგაცია, რომლებიც „ვაშას“ ძახილით ეგებებოდნენ. შემდეგ... ნოე ჟორდანია საგანგებო ყვავილებით მორთული ეტლით, დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე ალ. ლომთათიძესთან ერთად სტადიონისაკენ გაემართა“.

სადღესასწაულო კორტეჟი: „...კორტეჟი დილის 11.30 საათზე დაიძრა დამფუძნებელი კრების ქუჩიდან. წინ მიუძღოდა ბ. გიორგაძე. მთელ კორტეჟს ხელმძღვანელობდა დამფუძნებელი კრების კომისიის თავმჯდომარე პ. საყვარელიძე და მისი დამხმარე სტუდენტები, მოწაფეები და მუშები...“

სტადიონზე: „მთელი მოედანი შეჭრილია ხეობაში... ამფითეატრი მთის კალთებზე იყო გადაშლილი, საპატიო სტუმრებისათვის იქ კარვები იყო გაშლილი, სტადიონის პირდაპირ ქედის კალთებს ახლომახლო სოფლიდან ჩამოსულნი შეჰფენოდნენ, რომლებიც ძველებურ ქართულ ადათწესებით ატარებდნენ დროს“... სტადიონის ოთხივე კვადრატის ფერდობები ხალხმა აავსო...

„...სადღესასწაულო ეროვნული ზეიმი კომპოზიტორ კ. ფოცხვერაშვილის ჰიმნით დაიწყო... შემდეგ გაიმართა სხვადასხვა სანახაობა-შეჯიბრი...“

სადღესასწაულო საღამო: „შებინდებისას მთელი ქალაქი გაჩირაღდნებული შეხვდა ამ დღესასწაულს...

...სასახლის სახურავზე ორ ეროვნულ დროშებს შუა ფრიალებდა სარევოლუციო დროშა...

ტრანსპარანტზე, სასახლის შუა მხატვარ გუდიაშვილის მიერ შესრულებული ნახატი ბრწყინავდა, ყვავილ-გრეხილებითვე მორთული საქართველოს ღერბით.

ქალაქის თვითმმართველობის მთელი სასახლე ელექტროლამფებით იყო აშუქურვარსკვლავებული. მთელ აივნებზე ხალიჩები იყო გადმოფენილი. რატუშის თავს ეროვნული დროშა აბრწყინებდა, ღერბის ქვეშ ეწერა „26 მაისი“.

...სახელმწიფო თეატრის აივნის შუბლზე საქართველოს დიდი ღერბი იყო დახატული და ქვეშ ინიციალები ს. დ. რ. (საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა) დროშა ფერად ალმებით იყო გაჩირაღდნებული...

...ყველა ამ სანახაობას ჩრდილავდა უცხო რამ კოცონი თოფხანის, მამადავითისა და ბოტანიკურ მთებზე. მამადავითის კოცონი ფანტასტიკურად იყო მოწყობილი, აქედან მთელი მამადავითის ტაძარი და მთები ჩანდა.

ამ მთებიდან შუაღამემდე უშვებდნენ ათასფეროვან რაკეტებსა და მაშხალებს...

...საღამოს ყველა თეატრსა, კლუბებში და პროჟექტორებში სადღესასწაულო წარმოდგენები გაიმართა... ხალხის მოძრაობა არ შეწყვეტილა..“

სტუმრების პატივსაცემად: „...საღამოს ახალი კლუბის ბაღში საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსულ დეპუტატებს სადილი გაუმართეს. სუფრას თავმჯდომარეობდა პ. საყვარელიძე. სიტყვები წარმოსთქვეს ვლასი მგელაძემ, სამაჰმადიანო საქართველოს, თუშ-ფშავ-ხევსურეთის, ქართლ-კახეთ-იმერეთის და სხვა წარმომადგენლებმა. კოლა ერისთავმა წაიკითხა ძველი ლექსები, ორკესტრმა შეასრულა ჰიმნი და „სამშობლო“.

იმავე დღეს სახელები ოფიციალურად შეიცვალა, ერევნის მოედანს ეწოდა თავისუფლების მოედანი, სასახლის ქუჩას — დამფუძნებელთა კრების ქუჩა...

...ჩვენ მამულიშვილთ დიდხანს აღებეჭდებათ გულის ფიცარზე სანეტარო განცდები, რომელიც 26 მაისს იგემეს...“

(„სრ“, 26, 28 მაისი, №№114, 115).

(გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1919 წლის მაისის ნომრების დროებითი რედაქტორი იყო ვიქტორ ნოზაძე).

რუბრიკას უძღვება
ცისანა სიხარულიძე.

დღეს

(ექსპრომტათ)

დელია ოდელია დელია... ზეიმობს სამშობლო მწვანეთი,
ძველ კახეთს მოუხმობს გურია, იმერეთს ეძახის სვანეთი.
ზარები მღერიან ქალაქში, სხვა გვარად მღერიან ზარები,
სამშობლო მოუცავს სიხარულს, გამთბარა ძველად ნამწარები.

დაფნა და ვარდები სამშობლოს. დასწნავენ შვილები გვირგვინებს,
დადგება ამინდი მზიანი ჩვენს ცაზე მეხი არ იგრგვინებს.
სიხარულს, სიყვარულს ქვეყნისას ვერ იტევს დღეს ჩვენი მკერდები.
მზიანო სამშობლო იხარე, ჭაბუკო შენ არ დაბერდები.

იქნები, შენ აღარ მიჰქრები, ინათებს სულ შენი ლამპარი.
შენია მთლად ჩვენი ფიქრები, და ჩვენი მკერდები დამთბარი
ზარები მღერიან ქალაქში. ზეიმობს სამშობლო მწვანეთი,
ცხელ კახეთს მოუხმობს გურია, ხელს უწვდის იმერეთს სვანეთი.

ნიკოლოზ მიწიშვილი.
(დაიბეჭდა „საქართველოს რესპუბლიკაში“ 1919 წლის 26 მაისს).

№ 119, ოთხშაბათი, 26 მაისი, 2004 წელი.

დროის თემა

ფული ხელის ჭუჭყი როდია

ფულზე ლაპარაკი, მით უმეტეს, მასზე წერა, როგორღაც სათაკილოა. ფული უნდა აკეთო და ხარჯო, უარეს შემთხვევაში, — დაითვალო, მაგრამ შენთვის, ჩუმად. ამის მიუხედავად, გავბედეთ და გადავწყვიტეთ განვიხილოთ საფულესთან, სულერთია, სქელთან თუ თხელთან, ადამიანის დამოკიდებულების პრინციპი.

თქვენ ჯერ კიდევ არ იცით, როგორ გამდიდრდეთ და ჭკვიანად ხარჯოთ ნაშოვარი ფული? კეთილი. მაშინ მოვდივართ თქვენთან. საფულე და ცხოვრება! „თუ" კავშირის გარეშე! დღეს ფული წყვეტს, როგორც ცნობილია, თუ ყველაფერს არა, ბევრ რამეს მაინც...

- ✓ *აუმჯობესებს თუ არა ფული ადამიანის ხასიათს?*
- ✓ *პრაქტიკული დაბანდებანი საკუთარ პერსონაში*
- ✓ *რა ღირს სიძუნწის აბი?*
- ✓ *„მილიონერად გახდომის" ყველა ხერხი*
- ✓ *შოპინგ-დოპინგი*
- ✓ *როგორ დავატრიალოთ საკუთარი კოჭი უფრო სწრაფად?*
- ✓ *ჭუჭყიანი ფული*
- ✓ *გადამეტმოხმარების ეპიდემია*
- ✓ *გოგოვ, გოგოვ, მითხარიო, რატომ გიყვარს მდიდარიო?*

მდიდარი თუ ღარიბი?

„ბედნიერება ფულში როდია, არამედ მის ოდენობაში" — გვმოძღვრავს ხალხური სიბრძნე. ვის არ ეზმანება ის ბედნიერი დღე, როდესაც სიხარულისგან „მადლობასაც" ვერ ამოღერღავ თავს დაბერტყილი ათასის, მილიონის, მილიარდის (საჭიროს ხაზი გაუსვით) გამო და სამარადისოდ გათავისუფლდები ზრუნვისაგან, რათა მოიპოვო „პური ჩვენი არსობისა". „აი, მაშინ გავხდები კეთილი და ბედნიერი", — ამბობს ობივატელი... ამბობს და ცდება.

ფული ხასიათს აუმჯობესებს

— ფულს არ ძალუძს თავისთავად გააუმჯობესოს ცხოვრება, — ამბობს გაეროსთან არსებული ინფორმაციის საერთაშორისო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი. ბიზნეს-კონსულტანტი, ექიმი-ფსიქოთერაპევტი, ავტორი წიგნებისა „იქონიეთ ფული" და „რატომ ხარ ჯერ კიდევ ღატაკი" **იგორ ოლეგის ძე ვაგინი** — ფული მხოლოდ მისი მფლობელის არსს წარმოაჩენს.

აი იმაზე კი, თუ როგორ ეპყრობით ფულს, ნამდვილად დამოკიდებულია ბევრი რამ. კერძოდ:

● თუ აგდებულად ან გულგრილად ეკიდებით ფულს, აქაოდა, „რამდენიც არის — კარგი და კეთილი", თქვენ დიდი ფული არასდროს გექნებათ.

● მიგაჩნიათ, რომ ფული სულიერ სიმყუდროვეს გირღვევს? ამის დამადასტურებელ მაგალითებს იპოვით, მაგრამ ფულს თვალითაც ვერ იხილავთ.

● ოცნებობთ კონკრეტულ თანხაზე (ვთქვათ, 5 ათას დოლარზე)? მაშასადამე, რეალურად გაცილებით ნაკლებს იშოვით. ეს თავისებური ბარიერია: გაშინებთ მეტის სურვილი, ფული კი ამას გრძნობს.

● თუ ფულს აგდებით ეკიდებით, კუჭავთ, ჯიბეებში იჩურთავთ, ე.ი. ფულს ისე არ აღიქვამთ, როგორც იგი ამას იმსახურებს. ასეთი ადამიანი ნიადაგ წაგებული რჩება. მას უთუოდ შეთავაზებენ ნაკლებად ანაზღაურებულ სამუშაოს, მეუღლე კი ჰავაის კუნძულებზე დასასვენებლად გამგზავრების ნაცვლად, იძულებული გახდება შვებულება აგარაკზე სიდედრთან ერთად გაატაროს.

● გშურთ მდიდრების და გძაგთ ისინი, ვისაც ცოტა ფული აქვს? ამით იფუჭებთ არა მარტო ხასიათს, არამედ ცხოვრებასაც.

● თუ ხეირიანად არ იცით, როგორ მოიხმაროთ ფული, თქვენ უბრალოდ მას კარგავთ. სანაცვლოდ სულიერ წამებას იძენთ.

● თქვენ ფილანტროპი ხართ და ყოველთვის აძლევთ ფულს სესხად? არის შანსი, რომ ადრე თუ გვიან მეგობრებს დაკარგავთ. ადამიანები იშვიათად ემადლიერებიან იმათ, ვინც მხოლოდ ერთხელ გაუწია მათ სიკეთე.

და მაინც უნდა ვაღიაროთ: უფულობა ადამიანს უფრო მეტად რყვნის, ვიდრე განსაკუთრებით დიდი ფულიანობა.

უფულოდ ადამიანი მოკლებულია თავისუფალ არჩევანს: ცხოვრებას, ჭამა-სმას, იქ დასვენებასა და მკურნალობას, სადაც სურს.

ვიდრე ფული გაქვს, გიჩნდება სურვილი, სტიმული იმისა, რომ მეტს მიაღწიო ცხოვრებაში, მოუტანო სიკეთე ოჯახს, შვილებსა და საზოგადოებას.

ფული საკუთარი მოთხოვნის რწმენას იძლევა. ჩვენ ხომ სადღაც ვმუშაობთ. თუ ამასთან „ჯიბეში გროშიც არ გვიჭყავის", მაშასადამე, არც ჩვენ, არც ჩვენი საქმიანობა საზოგადოებას არ სჭირდება. რა შეიძლება იყოს იმაზე საშინელი, ვიდრე საკუთარი არსებობის უმიზნობის შეგრძნება?

უფულოდ ძნელია იყო განვითარებული პიროვნება: სიცოცხლის შენარჩუნებისათვის მუდმივი ბრძოლა, მომჭირნეობა, 2-3 ადგილზე ერთდროულად მუშაობა ადამიანს ბიორობოტად ხდის. სწორედ, რომ ღატაკთა შორის უფრო მეტი არიან ბოროტნი და უკმაყოფილონი, შურიანებიც კი.

თურმე, მდიდრებიც ტირიან

ეს ყველამ იცის. ამასთან, მდიდართა ნაწილი თავიანთი კაპიტალის გამო არიან გაწამებულნი. უეცრად გამდიდრებული ადამიანი ფსიქოთერაპევტის ყველაზე ხშირი კლიენტია. დიდი ფული ზოგჯერ მეტად მძიმე ტვირთია, რომელიც ადამიანს სიმშვიდეს უკარგავს, ზოგჯერ სულიერად დაავადებულს ხდის.

მთავარი, რომელიც ფულიანს ცხოვრებას უმწარებს, — ეს არის ფულის დაკარგვის შიში. გამდიდრებულნი ნიადაგ იმას შიშობენ, რომ სახელმწიფომ ფული არ წაართვას მათ (გადასახადები, დევალვაცია, ბანკის ვალაუვალობა და ა.შ.), რომ „დაიწვებიან" რაიმე გარიგებაზე... პათოლოგიური შიში, როგორც წესი, ისადგურებს იქ, სადაც არ გააჩნიათ შეგნებული გარისკვის გამოცდილება, ჩვევები და უნარი. იღბლიან მეწარმეებს, რომლებმაც ქონება საკუთრივ დააგროვეს, არცთუ პირველი ცდით, წაგების არ ეშინიათ, რადგან იციან, როგორ დაიბრუნონ დაკარგული. ამავე დროს მათი რისკი 5-10 პროცენტს არ აღემატება. გონიერ ბიზნესმენს არასდროს აძლევს ხელს 50 გამარჯვებულის 50-ზე წარმატება. და ამ გონიერ ბიზნესმენთა შორის გაცილებით ნაკლები არიან ისეთნი, რომელთაც აწუხებდეთ ფსიქოპათია, დეპრესია და სხვა ფსიქიკური აშლილობანი, ვიდრე ყველა დანარჩენში. ბიზნესში ხომ, ისევე, როგორც დიდ სპორტში, სუსტების ადგილი არ არის. ყოველი დღე მოითხოვს ნათელ გონებას, პრაქტიკულობასა და ფიქრის უნარს, არასტანდარტულ გადაწყვეტილებათა მიღების აუცილებლობას.

დათვალეთ თქვენი ფული

ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, რომ საბოლოოდ ავწონ-დავწონოთ სიმდიდრის ყველა დადებითი თუ უარყოფითი მხარე, საჭიროა გავარკვიოთ, თუ რას გულისხმობთ თითოეულ მათგანში. ძვირფასი ავტომობილი, კარგად მოწყობილი ბინა, საზღვარგარეთ დასვენების შესაძლებლობა — ეს კიდევ სიმდიდრე არ არის. აი, ვთქვათ, უძრავი ქონება, ფასიანი ქაღალდები, აქციები და ობლიგაციები, შემოსავალი რომ მოაქვთ, — უკვე რაღაცას ნიშნავს.

ძალზე ხშირად ადამიანი, რომელსაც მდიდრად თვლიან, სინამდვილეში თურმე „შედგება თავისი კოსტიუმისაგან", როგორც გოგოლი ამბობდა, არსებობს იმის გამონგარიშების ხერხები, რათა შევიტყოთ, მდიდარია თუ არა ადამიანი.

ხერხი პირველი. ქონების შეფასება ვალების გამოქვითვით. ეს ხერხი სუბიექტურია, რადგან ყველაფერი ხომ დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სიმაღლეზეა დაყენებული სიმდიდრის თამასა. თუ გყავთ მანქანა, გაქვთ ბინა და დანაზოგები, რითაც ცხოვრება შეიძლება, თქვენ არცთუ ცუდად მოწყობილხართ. მაგრამ შეიძლება კოლეგას ჰყავდეს უკეთესი მანქანა, ფლობდეს უფრო მეტ კაპიტალს. ისიც კარგად მოწყობილა, თქვენზე უკეთ. უბრალოდ, თქვენ და იგი სხვადასხვა ნიშში ხართ.

ხერხი მეორე, კიდევ უფრო ობიექტური. განსაზღვრეთ ქონების ღირებულების მოსალოდნელი დონე. გაამრავლეთ თქვენი ასაკი ერთობლივ წლიურ შემოსავალზე, გაითვალისწინეთ ყველა წყარო, გარდა მემკვიდრეობისა, გადასახადების გადახდამდე. ახლა ეს გაყავით 10-ზე. აი, რამდენი უნდა ღირდეს თქვენი ქონება. თუ რეალურად 2-ჯერ მეტი გაქვთ, თქვენ განეკუთვნებით **სნდ**-ის (სიმდიდრის ნიჭიერი დამგროვებელი) ჯგუფს. თუ 2-ჯერ ნაკლები, მაშინ განეკუთვნებით **სცდ**-ის (სიმდიდრის ცუდი დამგროვებელი) ჯგუფს, ხოლო ნავარაუდევი სინამდვილის შესაბამისობა აღნიშნავს, რომ თქვენ სიმდიდრის საშუალო დამგროვებელი **(სსდ)** ხართ. დასკვნა თვითონვე გააკეთეთ.

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ).



ტესტი

შეგიძლიათ თუ არა გამდიდრება?

ტესტის მეშვეობით შეამოწმეთ საკუთარი თავი: უპასუხეთ შეკითხვებს და დაიწერეთ თითო ბალი ყოველი დადებითი პასუხისათვის:

1. კარგად ითვლით გონებაში?
2. შეგიძლიათ მომჭირნეობა?
3. გეგმავთ თქვენ დღეს?
4. არჩეული პროფესიით კმაყოფილი ხართ?
5. გსურთ საკუთარი საქმის წამოწყება?
6. შეგიძლიათ სხვა ადამიანების მართვა?
7. არასდროს იმართლებთ თავს?
8. გაქვთ საკუთარი თავისათვის რეკლამის გაწევის უნარი?
9. გიყვართ იშვიათი წიგნები?
10. კრებთ ძირს დაყრილ ხურდა ფულს?
11. გწამთ ბედ-იღბლისა?
12. შეძლებდით მილიონი დოლარის დახარჯვას?

ᲨᲔᲕᲐᲯᲐᲛᲝᲗ:

10-12 ქულა. თქვენ მდიდარი ადამიანის აზროვნება, წარმოსახვა და პოტენციალი გაქვთ. იჩქარეთ ამის გამოყენება, თუ აქამდე არ გამდიდრებულხართ.

6-9 ქულა. თქვენ ფულის განკარგვა შეგიძლიათ, ამიტომ ფული ყოველთვის გექნებათ. ოღონდ, საეჭვოა გახდეთ მილიონერი.

0-5 ქულა. ვაი, რომ ბევრი ფული არასდროს გექნებათ. შეცვალეთ თქვენი დამოკიდებულება წარმატებისა და სიმდიდრისადმი, ან ეძიეთ ბედკეთილი თანამეცხედრე.

ამერიკელები განახორციელებენ მიწისქვეშა აფეთქებას

ნევადის შტატის ბირთვულ პოლიგონზე 25 მაისს (საქართველოში უკვე 26 მაისი იქნება) განხორციელდება მიწისქვეშა ექსპერიმენტი პლუტონიუმის გამოყენებით. ამას იტყობინებოდა „ფოქსის" ტელეკომპანია, რომელიც იმოწმებდა შეერთებული შტატების ბირთვული უშიშროების ეროვნულ ადმინისტრაციას.

ადმინისტრაციის მონაცემებით, ამ მიწისქვეშა ექსპერიმენტის დროს ააფეთქებენ ასაფეთქებელ მოწყობილობას პლუტონიუმიანი ფოლადის სფეროს გარშემო, რათა დააკვირდნენ, თუ „რას მოიმოქმედებენ" რადიაქტიური ნაწილაკები.

ექსპერიმენტის განხორციელება საჭიროა შეერთებული შტატების ბირთვული არსენალის საიმედოობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით.

ამასთან, ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს ექსპერიმენტი არ არის ბირთვული აფეთქება. მსგავსი ექსპერიმენტები არ შეიძლება ჩაითვალოს ბირთვული გამოცდების საყოველთაო აკრძალვის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულების დარღვევად, და არ არღვევს ამერიკის შეერთებული შტატების ვალდებულებებს, რომლებიც ამ ქვეყანამ იკისრა ბირთვულ გამოცდებზე 1992 წელს გამოცხადებული მორატორიუმის ფარგლებში.

ისრაელი განაგრძობს ოპერაციებს ღაზში, მაგრამ — მოგვიანებით

ისრაელის ჯარებმა დატოვეს პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკი ღაზის სექტორის ქალაქ რაფაჰში და გამოაცხადეს პაუზა ოპერაცია „ცისარტყელის" განხორციელებაში, რომელიც მიზნად ისახავს მოთარეშეებისა და იმ გვირაბების ძებნას, რომელთა მეშვეობითაც ექსტრემისტები ახერხებენ ეგვიპტიდან ღაზის სექტორში იარაღის შემოტანას.

რეიდი რაფაჰში დაიწყო მას შემდეგ, რაც ამ რაიონში მოკლეს 13 ებრაელი ჯარისკაცი.

ექვსდღიანი ოპერაციის დროს დაიღუპა სულ ცოტა შვიდი მშვიდობიანი მცხოვრები; გაეროს პალესტინელი ლტოლვილების საქმეთა სააგენტოს მონაცემებით, განადგურებულია 180 სახლი და ათასზე მეტი პალესტინელი უსახლკაროდ დარჩა.

თავის მხრივ, „ბი-ბი-სისათვის" მიცემულ ინტერვიუში ისრაელის არმიის გენერალმაიორმა დან ჰარელმა, რომელიც პასუხს აგებს ღაზის სექტორში უშიშროებისათვის, აღნიშნა, რომ „ცისარტყელის" განხორციელების დროს მოკლეს 40 პალესტინელი მოთარეშე, აღმოაჩინეს და დალუქეს სამი გვირაბი, გაანადგურეს ან მნიშვნელოვნად დააზიანეს 46 ნაგებობა, რომლებსაც მოთარეშეები იყენებდნენ. რაფაჰიდან წასვლა, გენერლის თქმით, არის ის პაუზა, რომელიც ახლა ძალზე სჭირდება არმიას.

დან ჰარელმა გამოთქვა სინანული მშვიდობიანი მცხოვრებლების დაღუპვის გამო და აღნიშნა, რომ არმია ებრძვის არა მშვიდობიან მოსახლეობას, არამედ ტერორისტებს.

ლტოლვილთა ბანაკის მცხოვრებლები აცხადებენ, რომ ებრაელი სამხედროების წასვლის შემდეგ იქ მხოლოდ ნანგრევებიღა დარჩა. „ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს აქ მიწისძვრა მოხდა", — აღნიშნა „რეიტერის" სააგენტოსათვის მიცემულ ინტერვიუში რაფაჰის ერთ-ერთმა მცხოვრებმა.

კვირას ღამით ისრაელის თავდაცვის არმიის ტანკებმა და ჯარისკაცებმა დატოვეს თელ-სულთანის ბანაკის რაიონი, რომელშიც ამ ბოლო დღეებში გააფთრებული შეტაკებები მიმდინარეობდა.

თელ-სულთანის მცხოვრებლებს მიეცათ წყლისა და სურსათის მარაგის შევსების შესაძლებლობა; მუნიციპალიტეტის მოსამსახურეები ცდილობენ აღადგინონ ელექტრო- და წყალმომარაგების სისტემისათვის მიყენებული ზარალი.

რაფაჰში მოქმედებისათვის ისრაელის ხელისუფლებას მკაცრად აკრიტიკებენ როგორც თვით ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ.

როგორც იერუსალიმიდან იტყობინება „ბი-ბი-სის" კორესპონდენტი, გენერალ ჰარელის მიერ გაკეთებული განცხადება ის ერთ-ერთი ღონისძიება უნდა იყოს, რომელსაც არმია ახორციელებს კრიტიკის პასუხად, თუმცა, მაინც ცდილობს მიაღწიოს ღაზის სექტორში დასახულ მიზანს.

ისრაელის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ოპერაცია ღაზის სექტორისა და ეგვიპტის საზღვარზე გაგრძელდება სექტორიდან ებრაელთა დასახლებების ევაკუაციის შემდეგაც, რის განხორციელებასაც აპირებს ისრაელის პრემიერ-მინისტრი არიელ შარონი.

შარონის თქმით, იგი კვირას წარადგენს მთავრობის განსახილველად ღაზის სექტორიდან წასვლის გეგმას. გავრცელდა ინფორმაციები იმის თაობაზე, რომ ახალი ვერსია ითვალისწინებს ღაზის სექტორიდან სამხედროების ეტაპობრივ გასვლას, აგრეთვე, ებრაელთა ყველა დასახლების ევაკუაციას ღაზიდან და ზოგიერთი დასახლებისა — მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირიდან.

ორშაბათს შარონმა თავისი გეგმა განიხილა ეგვიპტის დაზვერვის შეფთან ომარ სულეიმანთან, რომელიც ამის შემდეგ გაემგზავრა რამალაში პალესტინის ავტონომიის თავმჯდომარესთან იასირ არაფატთან შესახვედრად. იერუსალიმიდან გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სულეიმანმა არაფატს გადასცა შარონის გაფრთხილება, რომელიც მოითხოვს, რომ არ შეუშალონ ხელი ებრაელების გასვლას ღაზის სექტორიდან.

ბუში მზად არის ერაყში დამატებითი ძალების გასაგზავნად

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც ჩამოაყალიბა, თუ როგორ ესახება ერაყის მომავალი, და სცადა გაეფანტა სკეპტიკოსთა ეჭვები. შეერთებული შტატები, — აღნიშნა ბუშმა, — ერაყში დარჩება მანამ, სანამ ეს ქვეყანა არ გახდება თავისუფალი და დემოკრატიული.

და მაინც, პენსილვანიის შტატის ქალაქ კარლაილის სამხედრო კოლეჯში ნახევარსაათიანი გამოსვლის დროს, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ინსურგენტები, შესაძლოა, კიდევ უფრო „აქტიური და დაუნდობლები გახდნენ". როგორც ჯორჯ ბუშმა აღნიშნა, ამერიკის შეერთებული შტატები აპირებს შეინარჩუნოს ერაყში სამხედრო ყოფნა ამჟამინდელ დონეზე — 138 ათასი სამხედრო მოსამსახურე — იმდენ ხანს, რამდენიც ეს საჭირო იქნება. თუმცა, — დასძინა მან, — სარდლობა ახალ მოთხოვნებს აყენებს. „თუ მათ დასჭირდებათ უფრო მეტი ჯარისკაცი, მე დამატებით გავგზავნი სამხედროებს ერაყში", — თქვა პრეზიდენტმა.

გარდა ამისა, როგორც ბუშმა განაცხადა, „აბუ-გრეიბის" საპყრობილე, რომელიც გახდა ერაყში ამერიკელთა ოკუპაციის მახინჯი სიმბოლო, დაინგრევა.

ამ საპყრობილემ „სახელი გაითქვა" ჯერ კიდევ სადამ ჰუსეინის მმართველობის წლებში, რადგან მათში სასტიკად აწამებდნენ პატიმრებს.

პრეზიდენტ ბუშის თქმით, საბოლოო გადაწყვეტილება საპყრობილის დანგრევის შესახებ უნდა მიიღონ ერაყის დროებით მთავრობასთან კონსულტაციების შემდეგ, და ეს გახდება ერაყისათვის ახალი ეპოქის დაწყების სიმბოლო.

ბუშმა დასძინა, რომ შეერთებული შტატები გადაიხდის თანხებს გადიდებული უსაფრთხოების პირობების მქონე ახალი საპყრობილის მშენებლობისათვის, რომელშიც გადაიყვანენ „აბუ-გრეიბის" პატიმრებს.

ირანი ამერიკას თავის მიზნებისთვის იყენებდა?

ბრიტანული გაზეთი „გარდიანი" პირველ გვერდზე აქვეყნებს სენსაციურ ვარაუდს იმის შესახებ, თუ ვინ იყო ერაყში მასობრივი განადგურების იარაღის არსებობის შესახებ ინფორმაციის ძირითადი წყარო.

ამერიკის დაზვერვის ანონიმური წყაროების დამოწმებით, გაზეთი აღნიშნავს, რომ სადამ ჰუსეინის რეჟიმის წინააღმდეგ ომის დაწყების მთავარი სულისჩამდგმელი ირანი იყო.

ამერიკის ხელისუფლებამ დაიწყო ინფორმაციის გამოძიება, რომლის თანახმადაც, თეირანმა, თითქოსდა გამოიყენა ერაყის ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი, ერაყის ეროვნული კონგრესის მეთაური აჰმედ ჩალაბი იმ მიზნით, რომ ვაშინგტონისთვის გადაეცა შეთითხნილი მონაცემები სადამ ჰუსეინის სამხედრო არსენალის შესახებ.

ასეთი ვარაუდი ნათელს ჰფენს გასული კვირის მოვლენებს, როცა ერაყის პოლიციამ ამერიკელთა მხარდაჭერით განახორციელა რეიდი ჩალაბის ბინასა და ოფისში.

როგორც ცნობილია, პენტაგონში აჰმედ ჩალაბის მიიჩნევდნენ მთავარ მოკავშირედ ერაყის ოპოზიციის წარმომადგენელთა შორის და პოსტსადამური ერაყის პოტენციურ ლიდერად.

ახლა კი, წერს „გარდიანი", ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო დარწმუნებულია, რომ ჩალაბი ორმაგი აგენტი იყო: იგი იყენებდა თავის კავშირებს პენტაგონში, რათა ირანისათვის გადაეცა ვაშინგტონში მოპოვებული საიდუმლო ინფორმაცია, აგრეთვე — ნებსით თუ უნებლიეთ — ეხმარებოდა ირანის ხელისუფლებას მტრულად განწყობილი მეზობლის განადგურებასა და ბაღდადში ირანისადმი მეგობრული შიიტთა რეჟიმის დამყარებაში.

ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ უკვე სთხოვა გამოძიების ფედერალურ ბიუროს შეემოწმებინა ჩალაბის კონტაქტები ვაშინგტონში, რათა დაადგინონ, თუ ერაყის ეროვნული კონგრესის ლიდერი ვისგან იღებდა ინფორმაციას, რომელსაც შემდეგ გადასცემდა თეირანს. „აშკარაა, რომ ჩალაბი გადასცემდა ირანელებს გასაიდუმლოებულ ინფორმაციას, რისი უდავო მტკიცებულებანიც ჩვენ გაგვაჩნია", — მოჰყავს გაზეთს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ერთ-ერთი თანამშრომლის გამონათქვამი.

საფეხბურთო კლუბის, იახტების, თვითმფრინავების მფლობელი...

ლონდონის საფეხბურთო კლუბის „ჩელსის" მფლობელმა რუსმა ოლიგარქმა რომან აბრამოვიჩმა იყიდა „ბოინგ-767" ტიპის ახალი თვითმფრინავი, რომლის ღირებულება შიდა მოწყობილობისა და გაფორმების ჩათვლით მილიარდ დოლარს აღემატება.

ეს ინფორმაცია ახალი არ არის, მაგრამ მან მხოლოდ ახლა გამოჟონა პრესაში. როგორც ბრიტანული „ტაიმსის" მოსკოველმა კორესპონდენტმა განაცხადა, აბრამოვიჩმა 360-ადგილიანი „ბოინგი" ჯერ კიდევ შარშან იყიდა. ამის შემდეგ თვითმფრინავი თეთრ-ნაცრისფრად გადაღებეს ინგლისის ქალაქ ბრისტოლის მახლობლად მდებარე აეროდრომზე და იგი გაგზავნეს შვეიცარიაში სალონის გასაფორმებლად, აბაზანების, პლაზმური ეკრანების მქონე ტელევიზორებისა და სხვა მოწყობილობის დასამონტაჟებლად.

ახალი „ბოინგი" საექსპლუატაციოდ მხოლოდ შვიდი-რვა თვის შემდეგ იქნება მზად, თუმცა „ტაიმსი" მკითხველებს შეახსენებს, რომ „აბრამოვიჩს აქვს კიდევ ერთი „ბოინგ-737" თვითმფრინავი, რომლითაც იგი დაფრინავს ლონდონს, მოსკოვსა და ჩუკოტკას შორის".

შედარებისთვის აღვნიშნავთ, რომ რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინსაც ორი თვითმფრინავი აქვს, თუმცა ისინი მას „მემკვიდრეობით" ერგო ბორის ელცინისგან. ეს არის სპეციალური საპრეზიდენტო „ილ-62" და „ილ-96" თვითმფრინავები.

მაგრამ, პუტინისგან განსხვავებით, ლონდონის მთავარი ოლიგარქი საკუთარი იახტითაც მოგზაურობს, რომელიც აღჭურვილია ვერტმფრენების დასაჯდომი მოედნით. გარდა ამისა, მას საკუთარი წყალქვეშა ნავიც აქვთ, — წერს ბრიტანული „ტაიმსი".

ფიდელ კასტრო თითქმის უკვდავია!

კუბის ლიდერის პირადი ექიმი ეუხენიო სელმან ოუსეინი ამტკიცებს, რომ კომანდატეს თავისუფლად შეუძლია იცოცხლოს 140 წლამდე. ამჟამად ფიდელ კასტრო 77 წლის არის, და, როგორც ჩანს, იგი აპირებს „მოინელოს" ყველა თავისი არაკეთილმოსურნე და განაგრძოს კუბაში სოციალიზმის მარადიული მშენებლობა.

თუმცა, გავრცელდა ხმები, რომ ფიდელს ამ ცოტა ხნის წინათ გადაუტანია ინფარქტი, გარდა ამისა, ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, რომ იგი ფსიქიურ აშლილობას უჩივის და კიბოთიც არის დაავადებულიო. თუმცა, ოუსეინს ყოველივე ამის გაგონებაც არ სურს. მისი პაციენტი, როგორც ირკვევა, საკმაოდ მხნე მოხუცი ყოფილა: ამ დღეებში, მაგალითად, ფიდელ კასტრო მონაწილეობდა მანიფესტაციაში და მცხუნვარე მზის ქვეშ რამდენიმე კილომეტრი გაიარა ფეხით, რაც ბევრ ახალგაზრდასაც კი გაუჭირდებოდა.

კუბის რბილი ჰავა იდეალურ პირობებს ქმნის დღეგრძელთათვის, ხოლო უახლოეს მომავალში ადამიანის კლონირება რეალობად თუ იქცევა, ადვილი შესაძლებელია, რომ კასტრო მართლაც უკვდავად გახდეს.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადა ზაზა ბეჟანიძემ.

ქართული არმიის განვითარების ფონდმა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქ. კანონის თანახმად გააფორმა ხელშეკრულებები

1. შპს „ავიასაწვავსერვისთან" — 5 ხელშეკრულება;
2. შპს „კოსმოსთან" — 2 ხელშეკრულება;
3. შპს „ქართლთან" მ-03 10.05.04 წ.
4. ინდ. მეწარმე „გურამ ჯიშკარიანთან" — 2 ხელშეკრულება;
5. შპს „ვეგა-მოტორსი-2002"-თან ა/ტ-01 6.06.04წ.
6. შპს „კლდეკართან" მ-02 29.04.04 წ.

ᲒᲐᲖᲔᲗ „საქართველოს რესპუბლიკის" 2004 წლის 16 მაისის № 111 ნომერში გამოქვეყნდა განცხადება გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევნების კონკურსის შესახებ. აღნიშნული განცხადების ტექსტი არ იყო მიღებული უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ, რომლის სახელითაც იგი გამოქვეყნდა. კონკურსის შესახებ განცხადება გამოქვეყნდება მისი სამეცნიერო საბჭოზე მიღების შემდეგ.

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ᲒᲔᲓᲔᲝᲜ ᲮᲔᲚᲐᲘᲐ.

გამოიცა

„ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე“



ასე ეწოდება პროფესიონალების **მერაბ ვაჩნაძისა** და **ვახტანგ გურულის** ახალ წიგნს, რომელიც ეს-ეს არის გამოაქვეყნა გამომცემლობა **„არტანუჯმა“**. ადრე ჩვენი მკითხველები ამ ავტორების არაერთ საყურადღებო ნაშრომს გაეცნენ. ამ ახალმა წიგნმაც, მით უმეტეს, რომ იგი მიძღვნილია ივანე ჯავახიშვილისადმი, თვალსაჩინო ინტერესი უნდა გამოიწვიოს.

როგორც ავტორები აღნიშნავენ, პოლიტიკური რეჟიმის მიერ ივანე ჯავახიშვილის დევნის, ივანე ჯავახიშვილისა და მისი სკოლის წინააღმდეგ მიმართული კამპანიის შესახებ ბევრი საინტერესო ნაშრომი გამოაქვეყნეს ქართველმა ისტორიკოსებმა ს. ჯორბენაძემ, რ. მეტრეველმა, გ. ყორანაშვილმა, გ. ციციშვილმა, დ. ცინცაძემ, ო. ჯანელიძემ და სხვებმა. მერაბ ვაჩნაძისა და ვახტანგ გურულის ეს ახალი წიგნი ქვესათაურით „დოკუმენტები და მასალები, XX საუკუნის 20-30-იანი წლები“ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს იმ მორალური ტერორის შესახებ, რომელიც ტირანულმა რეჟიმმა მოუწყო უდიდეს ქართველ მეცნიერს.

როცა 1918 წლის 26 იანვარს თბილისის უნივერსიტეტი საზეიმოდ გაიხსნა, სულ მალე კი 1919 წლის 17 დეკემბერს მის რექტორად პეტრე მელიქიშვილის შემდეგ ივანე ჯავახიშვილი აირჩიეს, ალბათ, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ეს უდიდესი სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულება გამუდმებული წნეხის, გნებავთ, სასტიკი იერიშების ქვეშ მოექცეოდა. რუსეთის მე-11 წითელი არმია თბილისში 25 თებერვალს შემოვიდა. მომდევნო დღეს, 26 თებერვალს რუსეთის ეროვნული საბჭოს წარმომადგენლები ამ არმიის სარდლობასთან გამოცხადდნენ და უნივერსიტეტის დახურვა მოითხოვეს. კიდევ კარგი რომ...

როგორც წიგნის ავტორები აღნიშნავენ, ქართველი ერის მომავალი, საქართველოს უახლესი ისტორია განსაზღვრა სამმა უდიდესმა მოვლენამ — ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენამ, უნივერსიტეტის გახსნამ და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამ. ეს დამოუკიდებლობა მალე დაიკარგა, თუმცა ქაღალდი ყველაფერს იტანს და ლირფი, ურცხვი ავტორები განუწყვეტლივ ამტკიცებდნენ, რომ საქართველო კვლავ სუვერენული სახელმწიფო იყო. ის ხომ მოკავშირე რესპუბლიკაა, უცხოეთთან საზღვარი აქვს. ავტონომიურ რესპუბლიკას ამ საზღვრის უქონლობის გამო არ შეუძლია საბჭოთა კავშირთან გასვლა, მოკავშირე რესპუბლიკას (საქართველოს) ვინ უშლისო... დამოუკიდებლობის დაკარგვას მართლმადიდებლური ეკლესიის დარბევა მოჰყვა. რჩებოდა ეროვნულობის უკანასკნელი ბურჯი — თბილისის უნივერსიტეტი. ახლა მისი, რექტორისა და სულისჩამდგმელის, ივ. ჯავახიშვილის რიგი დგებოდა. ტირანული ხელისუფლება არ დამშვიდდებოდა, სანამ მათ საბოლოოდ არ გაუსწორდებოდა. რაში სჭირდებოდა თბილისის უნივერსიტეტი იმ სახელმწიფოს, რომელიც „იმართებოდა პარტიულ ბიუროკრატიაზე დაყრდნობით, იმ პარტიაზე დაყრდნობით, რომლის ერთი მილიონი წევრიდან უმაღლესი განათლება ჰქონდა 1 პროცენტზე ნაკლებს, 63 პროცენტს მიღებული ჰქონდა დაწყებითი განათლება, ხოლო 26 პროცენტმა წერა-კითხვა ისე ისწავლა, სკოლაში საერთოდ არ უვლია“.

თავს ნებას მივცემთ მოვიყვანოთ კიდევ ერთი ნაწყვეტი წიგნიდან: „საბჭოთა სისტემა რამდენიმე ნიშნით ხასიათდებოდა. მათი მხოლოდ ჩამოთვლაც კი საკმარისია სისტემის არსში გარკვევისათვის. ეს ნიშნებია:

1. კოსმოპოლიტიზმი, რაც პრაქტიკულად ნიშნავდა ეროვნული ფენომენის უარყოფას და „მსოფლიო სოციალისტური სახელმწიფოსა“ და „მსოფლიო მოქალაქის“ ჩამოყალიბების აუცილებლობის აღიარებას.

2. ათეიზმი, უფრო ზუსტად, მებრძოლი ათეიზმი, რაც ღმერთის უარყოფასთან ერთად ეკლესიის სრულ განადგურებასაც ითვალისწინებდა.

3. ოპოზიციური აზრის დევნა და ოპოზიციური ძალების ფიზიკური განადგურება.

4. პოპულიზმი და უკიდურესად დახვეწილი დემაგოგია.

5. ველიკოდერჟავული პოლიტიკის ფორმალური უარყოფის ფონზე ახალი საბჭოთა იმპერიის შექმნის მისწრაფება.

6. არარუსი ერების ასიმილაცია.

7. პოლიტიკური ლიდერის გაღმერთება და ყველა წარმატების მისთვის მიწერა.

8. კერძო საკუთრებაზე დამყარებული საბაზრო ეკონომიკის შეცვლა სახელმწიფოს მიერ მართული ეკონომიკით, რაც ნიშნავდა:

ა. კერძო საკუთრების სრულ მოსპობასა და მის შეცვლას სახელმწიფო საკუთრებით, რაც შრომას ადამიანის გამდიდრების საშუალებიდან სახელმწიფოს გამდიდრების საშუალებად აქცევდა;

ბ. მატერიალური დაინტერესების პრინციპის უგულებელყოფას და სხვადასხვა სოციალური ფენის მატერიალური მდგომარეობის ხელოვნურად მოწესრიგებას;

გ. წარმოების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის შეცვლას წარმოებისა და გასაღების წინასწარი დაგეგმვით, რეგლამენტირებით;

დ. საშინაო და საგარეო ვაჭრობის სრულ მონოპოლიზაციას;

9. ყოველგვარი ბურჟუაზიულის დაგმობასა და მისგან სრულ გამიჯვნას;

10 . ბურჟუაზიული სამყაროს აღსასრულის ქადაგებასა და სოციალიზმის კაცობრიობის მომავლად გამოცხადებას.

აი, ამ პრინციპებს ემყარებოდა ის პოლიტიკური სისტემა, რომელშიც აგრძელებდა არსებობას საქართველო 1921 წლიდან“.

ასეთი „მარაგის“ მქონე საბჭოთა წყობილება ბრძოლას უცხადებდა ყველას, ვისაც იდეურ ოპოზიციად თვლიდა. თბილისის უნივერსიტეტი, მისი პროფესურის აბსოლუტური უმრავლესობა, რექტორით სათავეში, არ შეიძლებოდა საბჭოთა წყობილების მომხრე ყოფილიყო. „ივანე ჯავახიშვილი სხვა მხრივაც იყო მიუღებელი საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ქართული ისტორიოგრაფიის პატრიარქი თავისი მეცნიერული მემკვიდრეობით, თავისი „ქართველი ერის ისტორიით“, „ძველი ქართული საისტორიო მწერლობით“, „ქართული სამართლის ისტორიით“ ქართველ ერში იმას ნერგავდა, რის ამოძირკვასაც ცდილობდა საბჭოთა ხელისუფლება“.

1926 წლის ივნისიდან ივანე ჯავახიშვილი გადააყენეს რექტორობიდან. იგი პრაქტიკულად ჩამოსცილდა უნივერსიტეტს. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 7 ივლისის დადგენილებით ჩატარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეორგანიზაცია. ამ პროცესს „რეორგანიზაცია“ პოლიტიკური მოსაზრებით უწოდეს. სინამდვილეში ეს იყო უნივერსიტეტის დაშლა რამდენიმე უმაღლეს სასწავლებლად მისი საბოლოო გაუქმების მიზნით.

საქართველოს პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ განსაზღვრა იმ მეცნიერთა სია, რომელთაც ბრალი უნდა დასდებოდათ არამეცნიერული შეხედულებების წამოყენებასა და პროპაგანდაში. სამარცხვინო სამსჯავროს ადგილად შეირჩა საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, სამსჯავროს გახსნის დღედ — 1930 წლის 13 დეკემბერი, მთავარ ბრალმდებლად — პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი **ივანე ვაშაყმაძე.** სამარცხვინო სამსჯავროს მიზანი იყო ივანე ჯავახიშვილისა და მისი სკოლის, ასევე სხვა დიდი ქართველი მეცნიერების იდეური განადგურება. თვით ივანე ჯავახიშვილი, მიწვევის მიუხედავად, სამსჯავროს სხდომაზე არ გამოცხადებულა.

როგორც ავტორები წერენ, „დისკუსია ამაზრზენი იყო ჩვენი, ქართული საზოგადოების, ფიზიონომიის აღქმის თვალსაზრისით. ბოლშევიკური ტირანიის დამყარებიდან ათი წელიც არ გასულიყო, თუმცა ამ ათ წელიწადში საზოგადოების სულიერმა დეგრადაციამ წარმოუდგენელ დონეს მიაღწია“.

მომხსენებელ ი. ვაშაყმაძის აზრით, „ქართული ისტორიოგრაფიის მთავარი წარმომადგენელი პროფ. ივ. ჯავახიშვილი იდეოლოგიურად ძველი ფეოდალურ-ნაციონალისტური ქვეყნის წარმომადგენელია, მეთოდოლოგიურად მხოხავი ემპირისტი და ანტი-მარქსისტი. განზოგადობას და სინთეზიურ აზროვნებას ის გაურბის, ხოლო თუ მის ნაშრომებში შეხვდებით სინთეზიურ აზროვნებას, ის აუცილებლად ნაციონალისტური ბუნების იქნება... ივ. ჯავახიშვილის ისტორია არ არის ისტორია, როგორც მეცნიერება... მისი საქართველოს ეკონომიური ისტორია სრულიად უვარგისია.“

აი, როგორ ესმოდა ბოლშევიკ იდეოლოგს ივ. ჯავახიშვილის ნაშრომების არსი. თუმცა არც სხვა გამომსვლელები ამჟღავნებდნენ საღი აზროვნების რაიმე უნარს (სტილი ყველგან დაცულია).

ცხაკაია: აქ ლაპარაკობენ, რომ პროფ. ჯავახიშვილი დიდი მეცნიერია. ეს თქვა სიმონ ხუნდაძემ და ასევე განიმეორა მეგრელიძემაც, მაგრამ მე ვლაპარაკობ, რომ ეს მხოლოდ შირმაა, თორემ ეს კაცი არ წარმოადგენს ისეთ დიდ პიროვნებას, როგორც ზოგიერთებს გონიათ და არც ისეთი დიდი მეცნიერია.

ყალიჩავა: რას წარმოადგენს გრ. წერეთელი და ივ. ჯავახიშვილი. მე ვიცი ერთი ფაქტი, როდესაც რუსეთმა, საბჭოთა ხელისუფლებამ დაკარგა ლენინი, მაშინ ჩვენი გრ. წერეთელი და ჯავახიშვილი მოგროვდნენ და ლაპარაკობდნენ, რომ გავკეთდით ხალხი, ლენინი მოკვტაო. ეს არის კონტრრევოლუციონერი, ის მეთაურობს იმას, ვინც ჩვენს წინააღმდეგ მოდის. დასკვნა. ჩემი დასკვნა ასეთი არის, რომ ჯავახიშვილი და წერეთელი არის აშკარა მავნებლები.

ასეთი სამარცხვინო გამოსვლების ფონზე მეცნიერების მცირერიცხოვანმა ჯგუფმა მოქალაქეობრივ და მეცნიერულ სინდისს ვერ უღალატა და დაიცვა ქართული ისტორიოგრაფიის პატრიარქი. „ეს ამ ადამიანებს მეცნიერული კარიერის დაღუპვისა და, შეიძლება სიცოცხლის ფასადაც კი დასჯდომოდათ“.

1935 წლის მარტ-აპრილში ივ. ჯავახიშვილის წინააღმდეგ ახალი კამპანია დაიწყო. სამსჯავროს ადგილი ისევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იყო, მთავარი ბრალმდებელი უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი **კარლო ორაგველიძე.** აი რამდენიმე ნაწყვეტი მისი გამოსვლიდან:

„მისთვის არსებობს ზეკლასიური დავით აღმაშენებელი და ზეკლასიური თამარი, რომლებიც ამყარებენ საზოგადოებრივ ჰარმონიას და ემსახურებიან მთელ ერს. ამიტომ ერიც, მისი აზრით, თავის მხრივ უაღრესი სიყვარულით იყო მათდამი გამსჭვალული. რა თქმა უნდა, ჯავახიშვილის ეს შეხედულება არ ასახავს ისტორიულ სინამდვილეს, არამედ წარმოადგენს ამ სინამდვილის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ ფალსიფიკაციას.

.... ჯავახიშვილის სახელმწიფოს წარმოშობის თეორია, როგორც ვხედავთ, არამეცნიერული ბურჟუაზიულ-აპოლოგეტური თეორიაა. საჭიროა ამ თეორიის წინააღმდეგ მარქსისტულ-ლენინური თეორიის კრიტიკული იარაღის მიმარჯვება და მისი განადგურება“.

ასეთი ადგილების მოყვანა ამ „მოხსენებიდან“ მრავლად შეიძლება, კარლო ორაგველიძეს კი ამ შემთხვევაშიც ბევრი დამქაში აღმოუჩნდა, თუმცა ამ უსუსური გამოსვლების წინააღმდეგ (კვლავ დიდი რისკის ფასად) გამოვიდნენ პროფესორები სიმონ ჯანაშია და სიმონ ყაუხჩიშვილი.

როგორც მ. ვაჩნაძე და ვ. გურული აღნიშნავენ: „1935 წლის მარტში გამართულმა დისკუსიამ, ცხადია, ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა და მისი სკოლა ვერ დაასამარა. საბჭოთა ხელისუფლებასა და მის ლაქიებს ამისი ძალა არ შესწევდათ“.

ძალიან საინტერესოა წიგნის ვრცელი დანართი. აქ გამოქვეყნებული მასალებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ივანე ჯავახიშვილის 34 კერძო წერილი მისი უმცროსი მეგობრისა და უერთგულესი პიროვნების ვარლამ დონდუასადმი, საქართველოს ისტორიის პროგრამა, რომლის რედაქტორი იყო პროფ. ს. ჯანაშია, სიტყვები, რომლებიც ივ. ჯავახიშვილის დაკრძალვაზე წარმოსთქვეს საქ. სსრ სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. სტურუამ და პროფ. ა. შანიძემ, აგრეთვე ნაწყვეტი ვახტანგ პარკაძის მოგონებიდან „ორი სიტყვა „ივანე დიდზე“.

გავეცანით კიდევ ერთ კარგ წიგნს ივ. ჯავახიშვილზე, რომელზეც ა. შანიძემ მშვენივრად თქვა: „შენ არაჩვეულებრივი მოვლენა იყავ ჩვენს ცხოვრებაში: შენში თანაბრად შეზავებული იყო ბუნება დიდი მეცნიერისა და დიდი ადამიანისა“.

გივი გამრეკელი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

განცხადება

სს „ზესტაფონის გ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის“ აქციონერთა განმეორებითი მორიგი საერთო კრების მოწვევის შესახებ

გ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის“ აქციონერთა მორიგი საერთო კრება, რომელიც უნდა გამართულიყო 2004 წლის 14 მაისს, არ ჩატარდა, რადგან არ ესწრებოდნენ 50 პროცენტზე მეტი ხმის უფლების მქონე აქციონერები, რის გამოც სს „ზესტაფონის“ გ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის“ აღმასრულებელი დირექტორის მიერ განმეორებით მოწვეული იქნა საზოგადოების აქციონერთა მორიგი საერთო კრება, რომელიც გაიმართება 2004 წლის 18 ივნისს 15 საათზე, ზესტაფონში, სს „ფეროს“ ადმინისტრაციულ კორპუსში.

დღის წესრიგი:

1. სს „გ. ნიკოლაძის სახელობის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის“ წლიური შედეგების განხილვა;

2. სს „გ. ნიკოლაძის სახელობის ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ნაცვლად ახალი წევრის არჩევა.

დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორატში.

დღის წესრიგის თითოეულ საკითხთან დაკავშირებით აქციონერებს შეუძლიათ წარმოადგინონ თავიანთი წინადადებები და შენიშვნები წერილობით. თუ აქციონერი წერილობით მოითხოვს, მას გაეგზავნება დღის წესრიგთან დაკავშირებული დოკუმენტაცია.

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სს „ზესტაფონის“ ადმინისტრაციულ კორპუსში.

სს „ზესტაფონის გ. ნიკოლაძის სახელობის ფეროშენადნობთა ქარხნის“ აქციონერთა 2004 წლის 18 ივნისის საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ იმ აქციონერებს, რომლებიც რეგისტრირებული არიან საზოგადოების აქციონერთა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს დამოუკიდებელი რეგისტრატორი „რეგისტრი“, 2004 წლის 14 მაისის 18 საათის მდგომარეობით. მისამართი: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 74 ა.

შპს „სამედიცინო კლუბი საქართველოს“ სამედიცინო ცენტრის გარემოსდაცვითი საქმიანობის მოკლე ანოტაცია

შპს „სამედიცინო კლუბი საქართველოს“ სამედიცინო ცენტრის (შემდგომში „საწარმო“) საქმიანობის მიზანია:

თანამედროვე სამედიცინო აპარატურით აღჭურვილი, ფართო პროფილის სამედიცინო ცენტრის ჩამოყალიბება და მისი შემდგომი ფუნქციონირების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა.

საწარმოს ხელმძღვანელი — გიორგი მახათაძე.

საწარმო თავის საქმიანობას ახორციელებს ქ. თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ბუდაპეშტის ქ. № 22.

საწარმოს მთელი სისრულით ამოქმედება დაგეგმილია 2004 წლის მე-4 კვარტლიდან. საქმიანობის დასრულების ვადა განსაზღვრული არ არის.

საქმიანობის კატეგორია — მესამე.

საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობა, აგრეთვე, შენიშვნების გამოთქმა შესაძლებელია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების ქ. თბილისის კომიტეტში, მის. ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. № 2, ტელ: 98-87-36, 98-81-48

განცხადება

ქ. თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 3 მაისის გადაწყვეტილებით დანიშნული აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების კვორუმის უქონლობის გამო სს „ხიდმშენი“ ა.წ. 12 ივნისს, დღის 12 საათზე, სს „ხიდმშენის“ ადმინისტრაციულ შენობაში, ქ. თბილისში, ლესელიძის ქ.№ 15-ში განმეორებით იწვევს აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრებას შემდეგი დღის წესრიგით:

2002 წლის წლიური ანგარიში და შედეგების განხილვა;

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევნები.

სამეთვალყურეო საბჭო.

წარმომადგენლობა „ბრიტანეთის ავიახაზები-საქართველოს“ ხელმძღვანელობა იტყობინება, რომ მიმდინარეობს წარმომადგენლობის ლიკვიდაცია. საკონტაქტო ტელეფონია 893 32-31-52.

ოთხშაბათი 26 მაისი	ხუთშაბათი 27 მაისი	პარასკევი 28 მაისი
07.30 ალიონი 09.45 "ეთნოგრაფიული ჩანახატები" 10.10 სერიალი "ოჯახური უთანხმოებანი" 10.00 დოკ. ფილმი 10.45 საბ. ფილმი "ლაზარეს თავგადასავალი" 12.00, 15.00, 20.00, 00.40 მოამბე 12.15 საბ. ფილმი "ჰეკები" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 დოკ. ფილმი "ნინოწმინდა" 15.15 მხ. ფილმი "საბუდარელი ჭაბუკი" 16.35 "საქართველო არის ესე" 17.00 "მუსიკალური არჩევანი" 17.35 ვიდეოფილმი "საქართველო" 18.00 ავსტრია 18.25 მუს. ფილმი 19.05 "იძლერე რამე" 19.40 ბასტა-ბუბუ 21.05 ვიდეოფილმი "მარგანეტი" 22.20 ალიონი 23.00 კონცერტი 01.00 ვიდეოფილმი 01.20 მხ. ფილმი "ამაღლება" (U)	07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "ჯუჯუების ახალი სამყარო" 10.10 სერიალი "ოჯახური უთანხმოებანი" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 დოკ. ფილმი 15.15 სერიალი "რაპუნზა-3" 1-ლი ს. 16.20 დოკ. ფილმი 16.50 "არტ" 17.00 მულტსერიალი "ჯუჯუების ახალი სამყარო" 17.30 ჯანმრთელობა 18.00 ავსტრია 18.20 სერიალი "უიმედოდ ახალი თავგადასავალი" 18.45 დოკ. სერიალი 19.05 "იძლერე რამე" 19.40 ბასტა-ბუბუ 21.00 სერიალი "სოლედადი" 22.05 სერიალი 23.20 "მუსიკალური არჩევანი" 00.00 ვიდეოფილმი 00.20 მხ. ფილმი (12)	07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "ჯუჯუების ახალი სამყარო" 10.10 სერიალი "ოჯახური უთანხმოებანი" 12.00, 15.00, 20.00, 23.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "სოლედადი" 13.00 ნაშუადღევს 14.00 მოამბე ინგლ. ენაზე 14.05 დოკ. ფილმი 15.15 სერიალი "რაპუნზა-3" 1-ლი ს. 16.20 დოკ. სერიალი 16.55 სერიალი 17.20 "მუსიკალური არჩევანი" 18.00 ავსტრია 18.20 სერიალი "უიმედოდ ახალი თავგადასავალი" 18.45 დოკ. სერიალი 19.05 "იძლერე რამე" 19.40 ბასტა-ბუბუ 21.05 სერიალი "სოლედადი" 22.00 23.20 00.00 ვიდეოფილმი 02.00 მხ. ფილმი (12)
19.00 მულტფილმი "სიმბა ფეხბურთელი" 19.30 სერიალი "შემიყვარე" (U) 21.00 დოკ. ფილმი 21.30 ჩვენი მისამართი 22.00 მხ. ფილმი "ბაჰუს ღორები და კაცები" (U)	19.00 მულტფილმი "სიმბა ფეხბურთელი" 19.30 სერიალი "შემიყვარე" (U) 21.00 წყვეტილი და დოკუმენტი 21.30 "ჩვენი მშვიდობიერი ლედი" 22.00 მხ. ფილმი "წითელი და შავი" 1-ლი ს. (15)	19.00 მულტფილმი "სიმბა ფეხბურთელი" 19.30 სერიალი "შემიყვარე" (U) 21.00 ბერძნული მიარესეთ მიარესეთ 21.40 ადგილობრივი დრ. 22.00 მხ. ფილმი "წითელი და შავი" მე-2 ს. (15)
07.30 დილა მშვიდობისა 08.00 "ტელეტექსტი" 09.40 სერიალი "შურისძიება" 11.00 ლამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50 კურიერი 12.20 "დისკავერი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "მაშველები" 18.20 "ტელეტექსტი" 18.55 "დისკავერი" 19.45 სერიალი "შურისძიება" 22.00 სერიალი "სოპრანოს კლანი" 23.00 ჩემპიონთა ლიგის ფინალი. "მონაკო" - "პორტო".	07.30 დილა მშვიდობისა 08.00 "ტელეტექსტი" 09.40 სერიალი "შურისძიება" 11.00 სერიალი "დიდი ინგლისური გადაცემები" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30 კურიერი 12.20 "დისკავერი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი "ჯაშუშები" 17.05 სერიალი "მაშველები" 18.20 "ტელეტექსტი" 18.55 "დისკავერი" 19.45 სერიალი "შურისძიება" 22.00 სერიალი "სოპრანოს კლანი" 23.00 კურიერი 23.50 მხ. ფილმი "ბოიკოტი" (18).	07.30 დილა მშვიდობისა 08.00 "ტელეტექსტი" 09.40 სერიალი "შურისძიება" 11.00 სერიალი "დიდი ინგლისური გადაცემები" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.15 კურიერი 12.20 "დისკავერი" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 სერიალი "მაშველები" 18.20 "ტელეტექსტი" 18.55 "დისკავერი" 19.45 სერიალი "შურისძიება" 22.00 ლამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად 23.00 კურიერი 23.50 მხ. ფილმი "თმენა" (18).
08.00 მხ. ფილმი "დიახ, მაგრამ" (18) 10.30 ოპერა 13.15 კონცერტი 14.10 დოკ. ფილმი 15.00 მხ. ფილმი "საუზმე ტიფანისთან" 17.00 კონცერტი 19.00 დოკ. ფილმი 21.30 მხ. ფილმი "ჯოკონდა" 22.00 კონცერტი 22.30 მხ. ფილმი "გზაასცდენილები" (12)	08.40 დოკ. ფილმი 10.30 კონცერტი 13.00 მხ. ფილმი "გზაასცდენილები" (12) 15.00 კონცერტი 17.00 მხ. ფილმი "ჯოკონდა" 19.00 დოკ. ფილმი 20.30 მხ. ფილმი "თავბრუ ნადირობა" 22.00 კონცერტი 23.00 მხ. ფილმი "ალუბლის ბაღი" (12)	08.00 მხ. ფილმი "ალუბლის ბაღი" (12) 08.40 დოკ. ფილმი 10.30 კონცერტი 12.00 მულტფილმი 13.30 დოკ. ფილმი 15.00 მხ. ფილმი "თავბრუ ნადირობა" 17.00 კონცერტი 19.00 დოკ. ფილმი 20.30 მხ. ფილმი 22.00 კონცერტი 23.00 მხ. ფილმი (12)
08.00, 11.00, 13.00, 15.00 ქრონიკა 08.15, 12.00, 01.55 იმედის მელოდიები 08.25, 01.25 ტკ-მარკეტი 09.00 "იმედის" დილა 11.05 სერიალი "ბუკეები" 12.10 სერიალი "კლონი" 13.15 სერიალი "ნიკო უულის სიდედრები" 15.15 მხ. ფილმი 16.45 სერიალი 17.00, 19.00, 22.00, 01.10 ქრონიკა 17.20 კონცერტი "პ. ბურჭულაძე თბილისში" 19.30 "პირველი ნახევარი" 20.00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ფინალი. "მონაკო" - "პორტო" 23.00 "იდეალური ქმარი" (ჯ. მური) (U) 01.35 არტ-ბულვარი.	07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 07.15, 17.20, 02.10 იმედის მელოდიები 07.30 "იმედის" დილა 10.10 სერიალი "ბუკეები" 11.05 მხ. ფილმი "ტუტსის მოგება" 12.45 ანიმ. ფილმი 13.25, 01.40 ტკ-მარკეტი 14.05 სერიალი "ნიკო უულის სიდედრები" 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 21.25, 22.00, 01.20 ქრონიკა 15.15 მხ. ფილმი "იდეალური ქმარი" (U) 17.25 ანიმაციური ფილმი 18.05 სერიალი 19.35 სერიალი "კლონი" 20.30 ქართ. სერიალი "ცხელი კალა-2" 21.30 სპორტი 23.00 მხ. ფილმი "ლუიზის დაცვა" (გ. უოშბერნი) (U)	07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა 07.15, 17.50, 02.55 იმედის მელოდიები 07.30 "იმედის" დილა 10.10 სერიალი "ბუკეები" 11.05 სერიალი "ტუტსის მოგება" 11.30 "პირველი ნახევარი" 12.10 სერიალი "კლონი" 13.15 ანიმ. ფილმი 13.25, 02.25 ტკ-მარკეტი 14.05 სერიალი "ნიკო უულის სიდედრები" 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.05 ქრონიკა 15.15 მხ. ფილმი "ლუიზის დაცვა" (U) 17.25 ანიმაციური ფილმი 18.05 სერიალი "ბუკეები" 19.35 სერიალი "კლონი" 20.30 ქართ. სერიალი 23.00 X-კლუბი 23.55 მხ. ფილმი "აფორია" (U) 01.35 "ხმა"-ს ჟურნალი
09.00 არჩევანის ზღვარზე 10.00 სერიალი "ველური მთვარე" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 სანგ. გამოშვება "მზერა" 11.10, 20.50 მინისერიალი "ხიროსიმა" 12.10, 21.45 დეტ. სერიალი "პოლიციელის ამბავი" 13.10 მხ. ფილმი "პატრიოტული თამაშები" (U) (ჰ. ფორდი) 15.10 სერიალი "მარია ემილია" 16.00, 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 16.10 სერიალი "მათე სავეჰრ" 17.10 მულტსერიალი "ვემიული" 17.35 მულტსერიალი "არგაი" 18.10 მულტსერიალი "ლოეფრიდი" 18.35 დოკ. სერიალი "გამომყვანი" 19.00 სერიალი "ველური მთვარე" 22.45 არჩევანის ზღვარზე 00.00 მხ. ფილმი "არა, ეს ხალხის" (18) (მერვე კარი)	09.00 არჩევანის ზღვარზე 10.00 სერიალი "ველური მთვარე" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 მინისერიალი "ხიროსიმა" 12.10, 21.45 დეტ. სერიალი "პოლიციელის ამბავი" 13.10 მხ. ფილმი "პარასკევს" (U) (კრუზ რასელი) 15.10 სერიალი "მარია ემილია" 16.00, 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 16.10 სერიალი "მათე სავეჰრ" 17.10 მულტსერიალი "ვემიული" 17.35 მულტსერიალი "არგაი" 18.10 მულტსერიალი "ლოეფრიდი" 18.35 დოკ. სერიალი 19.00 სერიალი "ველური მთვარე" 20.50 მინისერიალი "მოლის შეცდომა" 22.45 არჩევანის ზღვარზე 00.00 მხ. ფილმი "მოსაცდელი ხალხი" (18) (ნესტან ღლონტი)	09.00 არჩევანის ზღვარზე 10.00 სერიალი "ველური მთვარე" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10, 20.50 მინისერიალი "მოლის შეცდომა" 12.10, 21.45 დეტ. სერიალი "პოლიციელის ამბავი" 13.10 მხ. ფილმი "პარასკევს" (U) (კრუზ რასელი) 15.10 სერიალი "მარია ემილია" 16.00, 17.00, 18.00, 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 16.10 სერიალი "მათე სავეჰრ" 17.10 მულტსერიალი "ვემიული" 17.35 მულტსერიალი "არგაი" 18.10 მულტსერიალი "ლოეფრიდი" 18.35 დოკ. სერიალი 19.00 სერიალი "ველური მთვარე" 22.45 არჩევანის ზღვარზე 00.00 მხ. ფილმი "ბაბილონი" (18) (კრუზ ჰაქმანი)
07.20 პოპ. აფ. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქრონიკული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსიკალური 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორონდო 21.15 მუსიკა 22.35 მუსიკალური 23.00 პოპ. აფ. ათეული 02.00 "ბრავო" 03.00 პაუზის გარეშე	07.20 პოპ. აფ. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქრონიკული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 13.30 მუსიკალური 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00, 19.15 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორონდო 21.15 მუსიკა 22.35 მუსიკალური 23.00 პოპ. აფ. ათეული 02.00 "ბრავო" 03.00 პაუზის გარეშე	07.20 პოპ. აფ. ათეული 08.00 ტოროლა 11.00 ქრონიკული მუსიკა 13.00 ინფორმატორი 14.10 მუსიკა 16.00 მუსიკა 17.00 მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30 ვიდეორონდო 21.15 მუსიკა 22.35 პაუზის გარეშე 23.15 სერიალი 02.00 "ბრავო" 03.45 პაუზის გარეშე
10.00 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი "ქსელი" (12) 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი "ანიმრასაზი" (U) 17.00 მულტფილმი 19.00 სერიალი "მესუფევები" 19.30 ანიმ. სერიალი 20.00 მხ. ფილმი 22.30 შოუ 22.40 ი. საღირაძის შოუ 22.45 დებატები 202-ზე 00.00 მხ. ფილმი "მკვლელისათვის" (18)	10.00 დებატები 202-ზე 11.30 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი "მკვლელისათვის" (18) 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი "დანარჩენი 48 საათი" (18) 17.00 მულტფილმი 19.00 სერიალი "მესუფევები" 19.30 ანიმ. სერიალი 20.00 მხ. ფილმი 22.30 შოუ 22.40 ი. საღირაძის შოუ 23.00 დებატები 202-ზე 00.00 მხ. ფილმი	10.00 მულტფილმი 12.00 მხ. ფილმი "მიუხედავი იარაღი" (15) 14.00 მუსიკა 15.00 მხ. ფილმი (15) 17.00 საბ. ფილმი 19.00 სერიალი "მესუფევები" 19.30 ანიმ. სერიალი 20.00 მხ. ფილმი 22.30 შოუ 22.40 ი. საღირაძის შოუ 22.45 დებატები 202-ზე 00.00 მხ. ფილმი (18)
09.00, 18.30 საინფ. დაიჯესტი 09.30 საოჯახო ფილმი 11.10 მუსიკა 13.10 ინფორმატორი 14.55 მუსიკა 15.10 მხ. ფილმი 16.40 მუსიკა 16.45 მხ. ფილმი 18.00 დოკ. ფილმი 20.00, 22.30, 00.00 საინფ. დაიჯესტი 20.30 ფილმი-კაბარე 22.05 ფილმი 22.20 "ჩვენი საუნჯე" 23.00 დოკუმენტური ფილმი 00.30 ინტელექტუალური შოუ 03.00, 05.30 მუსიკა 03.30 მელოდრამა 2 ს.	09.00, 18.30 საინფ. დაიჯესტი 09.30 საოჯახო ფილმი-კაბარე 11.25 მუსიკა 12.00 ინტელექტუალური შოუ 14.05 ვიდეორონდო 14.10 დოკუმენტური ფილმი 15.00 კომედია 16.00 მუსიკა 17.00 მხ. ფილმი 19.00 მხ. ფილმი 20.00, 22.30, 00.00 საინფ. დაიჯესტი 20.30 ბოევიკი 21.00 ფილმი 23.00 "ეჰ-ეჰ-ეჰ" 00.30 კომედია 02.10, 04.25 მუსიკა 05.00 დოკუმენტური ფილმი	09.00, 18.30 საინფ. დაიჯესტი 09.30 საოჯახო ფილმი 11.20 მელოდრამა 12.55 ვიდეორონდო 13.00 დოკუმენტური ფილმი 14.50 მუსიკა 16.05 მხ. ფილმი 17.00 მხ. ფილმი 19.00 კომედია 20.00, 22.30, 00.00 საინფ. დაიჯესტი 21.00 ინფორმატორი 23.00 დოკუმენტური ფილმი 00.30 მელოდრამა 02.15 მუსიკა 04.20 კომედია 04.25 სერიალი